საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტიელი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 7 სექტემბერი 2004 №207 (2228) | ფასი 50 თეთრი

ბაქარი ჯეთელიძის ფოტო

გაამაყებული ალბანელები და ქულანაშოვნი ქართველები დღეს ახალგაზრდებს დაეჭიდებენ

ბოლომ და სიცრუემ რუსეთი დაამცირო

ორი ქართველი ჟურნალისტის, ნანა ლექვეკვას და ლევან თეთვაძის დატუსაღება ყველასთვის საშიში და ყველასგან დასაგმობი ფაქტია: რუსულ სახელმწიფოს სირცხვილისა და დირსების ნატეხალიც აღარ შერჩა

ბადრი ჯეთელიძის ფოტოები

ფრანგი მეტრი გერმანელ ორმეტრიანთან რევანშისთვის ემზადება

ალენ ჟირესი:

თურქეთთან მატჩი გონებიდან უნდა ამოვიგდოთ. ახლა თვითკმაყოფილების დრო არ არის. ჩვენ და განსაკუთრებით ალბანეთმა კარგი სტარტი ავიღეთ, ბრიგელის გუნდი პირველ ადგილზე მოკალათდა და ალბათ თბილისში მაინცდამაინც მოგებას არ დაისახავს მიზნად. ასე რომ, 3 ქულისთვის პირველ რიგში ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ.

ჰანს-პეტერ ბრიგელი:

მართალია, ჩვენ ბერძნები დავამარცხეთ, მაგრამ სულ სხვაა საქართველო, იგი არც ერთ ევროპულ ნაკრებს არ ჰგავს. საქართველოს ნაკრები იმდენად სპეციფიკური გუნდია, რომ მის წინააღმდეგ ტაქტიკის შერჩევაც ძნელია.

ბრიგელი ან ძალიან ალალია, ანაც...

თქვენ არ ჰგავხართ სხვებს

გურამ დოლაბერიძის ფოტო

ჰანს-პეტერ ბრიგელს ალბანეთში პოპულარობა არასოდეს აკლდა, მაგრამ საბერძნეთის ნაკრებთან გამარჯვების შემდეგ ზენიტს უწია. „ქემალ სტაფა" ამ მატჩის შემდეგ 15 წუთი ბრიგელ....ბრიგელს სკანდირებდა და გერმანელს გასახდელში არ უშვებდა.

ქართველ ჟურნალისტებს ბრიგელი უბრალო კაცად წარმოუდგა, რომელიც „მერიოტ თბილისში" გამართულ პრეს-კონფერენციაზე უშუალოდ ლაპარაკობდა მომავალ შეხვედრაზე

— თბილისში მატჩამდე სამი დღით ადრე ჩამოვედით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენი მზადების სერიოზულობას. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ჩემპიონები დავამარცხეთ, გუნდში ბევრი ხარვეზია და სამუშაოც საკმაოდაა. მთავარია, ჩემმა ფეხბურთელებმა ტირანული მატჩის დავიწყება მოახერხონ და მთელი კონცენტრაცია საქართველოს ნაკრებზე გადაიტანონ. ვიცი, ეს ძალიან გაუჭირდებათ, ვინაიდან ალბანეთის ნაკრებმა ბოლო დროის ყველაზე დიდ გამარჯვებას მიაღწია.

— როგორ ფიქრობთ, ალბანეთის ნაკრებს შეუძლია, გააგრძელოს წარმატებული სვლა?

— საქართველოს საკმაოდ ძლიერი ნაკრები ჰყავს, ვიტყოდი, ვარსკვლავურიც. მართალია, ჩვენ ბერძნები დავამარცხეთ, მაგრამ სულ სხვაა საქართველო, იგი არც ერთ ევროპულ ნაკრებს არ ჰგავს. თბილისურ მატჩში ფავორიტებად მასპინძლებს ვთვლი.

— თურქეთის ნაკრებთან ქართველების თამაში თუ ნახეთ?

— საკმაოდ ვარ ინფორმირებული. თუმცა თამაშის ვიდეოჩანაწერი ჯერ არ მინახავს, დრო არ მქონდა. თანამედროვე ფეხბურთში დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს იმას, როგორ ითამაშეს ქართველებმა თურქების წინააღმდეგ ან ჩვენ ბერძნებთან. მთავარია, კონკრეტული მატჩისთვის გუნდები როგორ მოემზადებიან. ყველა კითხვას თავად თამაში გასცემს პასუხს.

— საბერძნეთთან ურთულესი მატჩისა და მგზავრობის შემდეგ მოასწრებენ თქვენი ფეხბურთელები ძალების აღდგენას?

— ძალიანაც არ მომწონს, რომ დროის ასეთ მცირე მონაკვეთში ორი პრინციპული თამაშის გამართვა გვიწევს, მაგრამ ეს ფიფას კანონებია და მას ჩვენ ვერ შევცვლით. მეტოქეც ჩვენს დღეშია და, ვფიქრობ, შანსებიც თანაბარია.

— ფსიქოლოგიური მომენტები ახსენეთ, ნაკრებში სხვა სახის პრობლემებიც ხომ არ გაქვთ?

— ფსიქოლოგიური ტვირთი, რაც ჩვენ ბერძნების დამარცხების შემდეგ დაგვაწვა, მართლაც მთავარი მტერი იქნება. სხვა მხრივ ბიჭები თავს კარგად გრძნობენ, არც ტრავმირებულები გვყავს.

— ქართველებსაც იგივე ტაქტიკას დაუპირისპირებთ, რაც ბერძნებს?

— არა. ჩვენ სტუმრად ვთამაშობთ და მეტ სიფრთხილეს გამოვიჩენთ. ის ტაქტიკური სქემა ბერძნებისთვის იყო. შესაძლოა, ბევრი რამ არც შევცვალო. თუმცა ვაღიარებ, რომ საქართველოს ნაკრები იმდენად სპეციფიკური გუნდია, რომ მის წინააღმდეგ ტაქტიკის შერჩევაც ძნელია.

— თქვით, ამ მატჩში საქართველოს ნაკრები ფავორიტიაო, რატომ ფიქრობთ ასე?

— ვიცი, რომ ქართველები განსაკუთრებით ძლიერები საშინაო მატჩებში არიან, თბილისში ფრესაც დავჯერდებოდი, თუმც არ იფიქროთ, რომ მოგებას არ ვეცდებით.

— ოტო რეჰაგელმა რა გითხრათ ნამატჩევს?

— წესიერად არც მინახავს. პრესკონფერენციაზეც დამაგვიანდა. რეჰაგელი ჩემი შესვლისთანავე გაუჩინარდა დარბაზიდან.

გურამ დოლაბერიძის ფოტო

ამის შემდეგ ბრიგელი მედიელებს დაგვემშვიდობა, თუმცა სიტყვა ჟირესსა და 1982 წლის ესპანურ მუნდიალზე ჩამოვუგდე და საუბარი პირისპირ გაგრძელდა...

— ჟირესის წინააღმდეგ 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალშიც იდექით...

— ეს მართლაც დაუვიწყარი თამაში იყო მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში. ფრანგებს უამრავი ვარსკვლავი ჰყავდათ და ჩვენზე სანახაობრივ ფეხბურთსაც თამაშობდნენ, მაგრამ მათი თეატრალურობა ჩვენმა დისციპლინამ და მწყობრმა თამაშმა გატეხა. ანგარიშის გათანაბრების შემდეგ მათ ადამიანის ფერი აღარ ედოთ და ვიცოდი, პენალტებში საბოლოოდ მოვუღებდით ბოლოს.

— ჟირესი რევანშს საქართველოს ნაკრებით აპირებს...

— შეეცადოს, მზად ვარ. როგორც კოლეგას კი, თურქეთში წარმატებას ვულოცავ.

— მან თქვენ მთაკაცი გიწოდათ, თქვენ რას ეტყოდით?

— მთაკაცი? რა ვიცი, მაშინ გერმანიის ნაკრებში ყველა ფეხბურთელი ჯანმაგარი და ტანმაღალი იყო. ძირითადში ადგილის დასამკვიდრებლად დიდი შრომა და ოფლისღვრა მჭირდებოდა, თუმცა ეს ჟირესი იყო ძალიან მსუბუქი და პატარა და ამიტომაც მიწოდა მთაკაცი.

— თქვენზე ამბობენ, ფეხბურთამდე კრივით იყო გატაცებულიო...

— ღმერთო ჩემო, რას არ გაიგებ! ადრე ჩემი აღნაგობის გამო ნიჩბოსნობაც კი მომაწერეს. ეტყობა, იმდენად მკაცრი გამოხედვა მაქვს და მოედანზეც იმდენად შეუვალი ვიყავი, რომ მოკრივის ასოციაციას ვიწვევდი.

— ცხოვრებაში არ გაქვთ ეს თვისებები?

— არა. პირიქით, ვცდილობ, ძალიან რბილი ვიყო და რაც შეიძლება, ბევრი ვიცინო. თუნდაც იმიტომ, რომ ფეხბურთმა ჩემგან ძალიან ბევრი წაიღო, ჯერ როგორ მოთამაშისგან და ახლა როგორც მწვრთნელისგან.

დავით ერაძე

გურამ დოლაბერიძის ფოტო

ჩიტის მოტანილი ამბავი

რას ლაპარაკობენ ალბანელები ქართველებზე



გურამ დოლაბერიძის ფოტო

ალბანეთის ნაკრები თბილისში მესამედ სტუმრობს, მაგრამ ასეთი ქედმაღალნი და თავდაჯერებულნი „არწივები" არასოდეს ყოფილან. მიზეზი ცხადია: ევროპის ჩემპიონი ბერძნების ძლევამ გაათამამა.

გუშინ ალბანელებმა დიღომში, „ოლიმპიკის" სპორტსკოლის ბაზაზე დაახლოებით ერთი საათი ივარჯიშეს. ჰანს-პეტერ ბრიგელმა ფეხბურთელები ჯერ მოედნის ცენტრში შეკრიბა და ათი წუთი ესაუბრა. სამი-ოთხი ფრაზა გავიგე: „ქართველებს ბურთი ძალიან უყვართ, ამიტომ თამაშისას ყურადღება არა ფეხბურთელის, არამედ ბურთის მოძრაობაზე გქონდეთ". „ფლანგებზე რაც შეიძლება სწრაფად უნდა ვიმოქმედოთ", „საქართველოს ძირითადი მეკარე არ ეყოლება და ჩვენი შანსი შორი დარტყმებით უნდა ვეძიოთ".ვარჯიში ფლანგებიდან ჩაწოდებით და ერთი შეხებით კარში დარტყმით გაგრძელდა და 25-წუთიანი ორკარათი დასრულდა.

ვარჯიშის მერე სტუმართაგან *ალტინ ლალას* გამოველაპარაკეთ...

— თქვენ ბუნდესლიგაში თამაშობთ და იქ მოთამაშე ქართველ ფეხბურთელებს ალბათ კარგად იცნობთ...

— ძალიან ძლიერი ფეხბურთელები, კლუბის ლიდერები არიან. ამის მიღწევაა კი ბუნდესლიგაში ძნელია. იაშვილთან ვმეგობრობ. კარგი ბიჭია, კომუნიკაბელური და გაწონასწორებული, კობიაშვილის გარეშე „შალკე" წარმოუდგენელია. მან ბუნდესლიგაში საკმაო ავტორიტეტი მოიხვეჭა.

— სულ რაღაც სამი დღის წინ უმძიმესი მატჩი გქონდათ საბერძნეთის ნაკრებთან. როგორ ფიქრობთ, ძალები საქართველოსთვისაც შეგრჩათ?

— ბერძნებთან მართლაც საუცხოოდ ვითამაშეთ. ეს იყო ჩვენი ისტორიული გამარჯვება. დაღლილობის მომენტი მართლაც არსებობს, მაგრამ ჩვენი ძალის გამოჩენა მაინც უნდა შევძლოთ. ძალიან ძნელია, ზედიზედ ორი მატჩი ერთ დონეზე ჩაატარო, მაგრამ რას იზამ...

— თქვენ ალბანეთს დღესასწაული აჩუქეთ...

— მართლაც საოცარი სანახავი იყო ტირანის ქუჩები. დიდი ხანია, ალბანეთს ასე არ გაუხარია. ჩვენ ორმაგი მოტივაცია გვქონდა, ჯერ ერთი, ევროპის ჩემპიონებს ვეთამაშებოდით; მეორეც, ისტორიული შუღლი, რომელსაც ჩვენში ხშირად იხსენებენ. ალბანეთში ამ მოგების შემდეგ ფეხბურთელებს გმირები გვიწოდეს.

— როგორ ფიქრობთ, ალბანეთს ახლა თავისი ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო ნაკრები ჰყავს?

— შორეულ წარსულში არ გადავალ, მაგრამ ბოლო ორ შესარჩევ ტურნირში ნათამაშევ ჩვენს ნაკრებებს რომ ვჯობნით, ფაქტია. ეს კი ბრიგელის დამსახურებაა, მან გერმანული მენტალიტეტი ჩვენშიც დანერგა და ბევრი რამ შეცვალა. პირველ რიგში თამაშის ორგანიზაცია. ჩვენ ტირანაში დავამარცხეთ რუსეთი, შვეიცარია, საქართველო, ფრე ვეთამაშეთ ირლანდიას და ბოლოს ბერძნებიც დავაღონეთ. თბილისშიც ჩვენი უღლბლობის ტრადიციის შესაცვლელად ჩამოვედით.

დავით ერაძე

საფრანგეთი
II დივიზიონი. VI ტური
ნანსი 1:0 ტრუა

უელსი
სუპერლიგა. XXIII ტური
ენჩიოპინგი 0:1 ნორჩიოპინგი
იოსტერსი 1:0 კაფე ოპერა

ირლანდია
პრემიერდივიზიონი
XXV ტური
შელბურნი 4:1 დუბლინი

ივო შუშაკის ძალიან მინდა ასათიანი წინ!

ხორვატი თბილისში ჩვენს საქომაგოდ ჩამოვიდა

გულმან ვეღარ გაუძლო და ივო შუშაკი თბილისშია — თბილისის „დინამოს“ ყოფილი მწვრთნელი საგანგებოდ ჩამოვიდა, რათა საქართველოს ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებებს უქომაგოს ალბანელებთან.

რა მწვრთნელია შუშაკი? ამაზე განსხვავებული აზრები არსებობს, მაგრამ შუშაკი რომ გულიანი კაცია, ამას წყალი არ გაუვა და მისი ეს თბილისური ვიზიტიც ამის დასტურია.

შუშაკი ორი წელი და სამი თვე თავკაცობდა „დინამოს“, ქართული დუბლი და თანამეგობრობის თასი მოაგებინა გუნდს, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს კი წინა შესარჩევ ციკლში ორჯერ გაუძღვა — სწორედ შუშაკის დამოძღვრილმა გუნდმა მოუგო გემრიელად რუსებს შარშან 1:0

ივო შუშაკი დღეს ქუთაისის ფოტო

შუშაკი გუშინ ეროვნული ნაკრების ვარჯიშს დაესწრო „ისნის“ სტადიონზე. კოსტიუმი, ჰალსტუხი და მზის სათვალე — ასეთ ფორმაში გახლდათ ხორვატი სპეციალისტი, თუმც ის უბრალო კაცია და ინტერვიუზეც სიამოვნებით დამთანხმდა.

— თბილისში ჩამოსვლას უფრო ადრე, რამდენიმე თვის წინ აპირებდით — რატომ გააჭიანურეთ ვიზიტი?

— ადრეც ვთქვი, რომ საქართველოდან სამუდამოდ არ წავსულვარ და აუცილებლად ჩამოვიდოდი აქ. საქართველოდან წასვლის შემდეგ მსურდა, კარგად დამესვენა, მაგრამ დასვენების დროს ვარჯიში მიყვარს და საზარდულის კუნთი გავიწყვიტე. თბილისში სასიამოვნო დროს ჩამოვედი — „დინამოს“ უეფას თასის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე გასვლას ვულოცავ, საქართველოს ახალგაზრდულმა და ეროვნულმა ნაკრებებმა კი შესარჩევი ეტაპი წარმატებით დაიწყეს. ჩამოვედი მეგობრების მოსანახულებლად და თქვენი ნაკრების საქომაგოდ.

— „დინამოს“ ახალგაზრდა გუნდისგან უეფას თასზე ასეთ კარგ თამაშს თუ ელოდით?

— უნდა ვაღიარო, რომ „სლავიასთან“ პირველი წაგებული მატჩის შემდეგ „დინამოს“ შემდეგ ეტაპზე გასვლას არ ველოდი. ამან ძალიან გამახარა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ საქართველოში ძალიან ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელია.

— ნაკრებზე ვთქვათ. თქვენ პირველი იყავით, ვინც მალხაზ ასათიანი სასტარტოში დააყენა და მან რუსებს გოლი გაუტანა. ახლა ბევრს ბჭობენ იმაზე, რა პოზიციაზე უნდა ითამაშოს ასათიანმა ნაკრებში. ალენ ჟირესს მიაჩნია, რომ ასათიანი უფრო ჩამშლელი ნახევარმცველია, თქვენ კი ასათიანს გამთამაშებლად ათამაშებდით...

— როცა ფეხბურთელი სერიოზული კლუბის წევრია, მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია სათამაშო პრაქტიკა. ასათიანი მოსკოვის „ლოკომოტივში“ რომ გადავიდა, ძირითადში დამკვიდრება უჭირდა, მაგრამ მერე გამოუჩნდა კარგი შანსი, როცა ის ლიბეროდ გაამწესეს. მან ეს შანსი გამოიყენა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ასათიანი უკვე ჩამოყალიბებული ფეხბურთელია და ნაირგვარ პოზიციაზე თამაში შეუძლია. თუმც, როცა ასათიანი ჯერ კიდევ ქუთაისის „ტორპედოში“ თამაშობდა, მაშინ გამოამჟღავნა, რომ გოლის გატანის უნარი აქვს, რაც ეროვნულ ნაკრებშიც დაამტკიცა. ჩემი აზრი ამ საკითხზე კვლავაც იგივეა — ყველაზე კარგი პოზიცია ასათიანისთვის ისაა, სადაც ყველაზე ახლოს იქნება მეტოქის კართან.

— წინა ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად ჟურნალისტთა გამოკითხვით დინამოელი დავით კვირკველია გახდა — ეთანხმებით ქართული მედიის აზრს?

— კვირკველია ეროვნულ ნაკრებში პირველად ჩივაძემ მიიწვია, შემდეგ მეც ვათამაშე ნაკრებში და იგივეს აკეთებს ჟირესიც — კვირკველია დამსახურებულად ხვდება ნაკრების თერთმეტეულში. დათო საქართველოს ჩემპიონატიდან ერთადერთია, ვინც რეგულარულად თამაშობს ნაკრებში. მოკლედ, საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად მეც კვირკველიას დავასახელებდი.

— ამ დროისთვის საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელად ვინ მიგაჩნიათ?

— დავასახელებდი კახა კალაძეს და შოთა არველაძეს, ამ ორს ზურაბ ხიზანიშვილსაც დავუმატებდი — საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი ამ სამეულიდან უნდა შევარჩიოთ.

— 8 სექტემბერის ალბანეთთან მატჩზე რას იტყოდით, როგორ აფასებთ ჩვენს შანსებს?

— შარშან ალბანეთს 3:0 მოვუგეთ და ბევრს მიაჩნდა, რომ უფრო დიდი ანგარიშითაც უნდა მოგვეგო. მაგრამ ალბანეთმა მალე დაგვანახა კბილები — შინ 3:1 დაგვამარცხა. ახლახან საბერძნეთთან მოგებული მატჩით კი ალბანეთმა დაამტკიცა, რომ ერთი რიგითი გუნდი არ არის — მას ნებისმიერი გუნდის გამწარება შეუძლია. თუმც შესარჩევი ციკლი ჩვენც კარგად დავიწყეთ და მჯერა, რომ ალბანეთთან დიდი მონდომებით ვითამაშებთ — ობიექტურად რომ განვსაჯოთ, ხარისხი და დონე ჩვენს მხარესაა. მჯერა, საქართველო მოიგებს. ეს ძალიან მინდა. ახალგაზრდულ ნაკრებზეც უნდა ვთქვა — მასაც კარგი შედეგი ჰქონდა თურქეთთან და თუ ალბანეთს მოუგებს, ჯგუფიდან გასვლის რეალური შანსი ექნება.

— რახან ახალგაზრდულ ნაკრებზე ჩამოვარდა სიტყვა, 19 წლის სანდრო იაშვილზეც გვითხარით. ის პირველად თქვენ ათამაშეთ „დინამოს“ ძირითადში, მაგრამ უდისციპლინობის გამო თანამეგობრობის ტურნირზე დასაჯეთ კიდეც. ამ ფეხბურთელზე, მის ხასიათზე არაერთგვაროვანი აზრი არსებობს და ალბათ იცით, რომ ის „დინამოში“ აღარ თამაშობს...

— ძალიან ვწუხვარ, რომ ასეთმა ნიჭიერმა ფეხბურთელმა ჯერ ვერ გაითავისა, რომ ხასიათი, ქცევა და დისციპლინა პირველ პლანზეა. მაგრამ არიან ფეხბურთელები, რომლებიც გვიან ღვინდებიან. თუ სანდროზე „დინამოდან“ დათხოვნამაც ვერ იმოქმედა დადებითად, ეს ფეხბურთელი შესაძლოა, დაღმა დაეშვას, რაც დიდი დანაკლისი იქნება ქართული ფეხბურთისთვის. როცა კიდევ ჩამოვარდება ლაპარაკი იაშვილზე, ძალიან მინდა, რომ ეს მხოლოდ მის წარმატებებს შეეხოს.

— მწვრთნელობას როდის დაუბრუნდებით?

— მქონდა რამდენიმე სერიოზული წინადადება. ამას წინათ ხორვატიულ გრანდ ზაგრების „დინამოს“ ვუთხარი უარი. გადავწყვიტე, ახალ წლამდე კიდევ დავისვენო, მერე კი უცხოეთში, აღმოსავლეთ ევროპაში მსურს მუშაობა.

— სანამ მუშაობას დაიწყებთ, საქართველოს ნაკრების სხვა თამაშებზეც აპირებთ ჩამოსვლას?

— თბილისში თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში. თუ საშუალება მექნება, აქ კიდევ ჩამოვალ, თუმც ეს საქართველოს ნაკრების წარმატებებზეცაა დამოკიდებული.

დავით თავგართქილაძე

ჟირესი ალბანეთს კომპიუტერით გაშიფრავს

სამი ქულა ჩვენ უფრო გვინდა

„თურქეთთან მატჩი გონებიდან უნდა ამოვიგდოთ. ახლა თვითკმაყოფილების დრო არ არის. ჩვენ და განსაკუთრებით ალბანეთმა კარგი სტარტი ავიღეთ, ბრიგელის გუნდი პირველ ადგილზე მოკალათდა და ალბათ თბილისში მაინცდამაინც მოგებას არ დაისახავს მიზნად. შედეგად, 3 ქულისთვის პირველ რიგში ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ“ — ასე დაიწყო ალენ ჟირესმა სასტუმრო „ბატესტაში“ გუშინ გამართულ პრესკონფერენცია და დღეს 16 საათისთვის კვლავ დაგვიბარა სასაუბროდ.

ალბანეთთან მატჩის მოახლოებასთან ერთად ჟირესი უფრო ჩაფიქრებული გვეჩვენა და ჩვეული „ფრანგული იუმორიც“ ცოტა ხანს გვერდზე გადადო...

— სამწუხაროდ, 8 სექტემბერს ზურაბ ხიზანიშვილის თამაში გამორიცხა, თუმც ლევან კობიაშვილისა და ალექსანდრე იაშვილის გამოჯანმრთელებამ სულზე მოგვისწრო. ისინი მზად არიან სათამაშოდ.

— ალბანეთ — საბერძნეთის ვიდეოჩანაწერს ნახავდით...

— სამწუხაროდ, ტირანაში გაგზავნილმა ჩვენმა ემისარმა ვიდეოკასეტა ვერ მიიღო. ახლა კომპიუტერზე მზადდება ალბანელთა ტაქტიკური სქემა, თუმც გამოსახულების გარეშე მისი ნახვა ნაკლებად ეფექტურია.

— ზედაპირულად მაინც როგორ ახსნიდით ჩვენი მომავალი მეტოქის ბერძნებთან მოგებას?

— ცხადია, ტაქტიკურ ნიუანსებზე ვერაფერს გეტყვით. ისე კი, რეჰაგელის გუნდი ევროპის ჩემპიონის სტატუსით თამაშობს — თუ ბერძნები ადრე აუტსაიდერთა შორის იყვნენ, ახლა მათთან ყველა კბილებს ილესავს. ადრე ისინი ფავორიტებს ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ აქცევდნენ, რასაც ახლა საკუთარ ტყავზე სცდიან. საერთოდაც, წარმატების მოპოვება უფრო ადვილია, ვიდრე შენარჩუნება.

— თურქეთთან მატჩში ნახევარდაცვასა და თავდასხმას შორის კავშირი დარღვეული ჩანდა...

— ნაკლოვანებები ყველა შეხვედრაშია და მისი დანახვა იოლია. არ გამოვრიცხავ, ალბანელებთან ეს ნაკლი გამოვასწოროთ, მაგრამ სხვა სახის პრობლემას წავაწყდეთ. თამაში მარტო შეცდომებზე არ იგება, ზეგ მაქსიმალურად კონცენტრირებულები ვიქნებით და, რაც მთავარია, თამაში ჩვენ უნდა ვუკარნახოთ...

ილია ნანოგაშვილი

თბილისი. 7 სექტემბერი. 20 საათი. ეროვნული

საქართველო — ალბანეთი

ახალგაზრდულები

ნახევარი მე, ნახევარი შენ

ბადრი ჯობავაძის ფოტო

ჰასან ლიკა ალბანელ „მართველებს“ თბილისში მეორედ ჩამოუძღვა

არაპუნქტუალური ალბანელები სავარჯიშოდ გვიან გამოცხადდნენ. წინასწარი შეთანხმებით, „მართველებს“ საღამოს 7 საათზე უნდა ევარჯიშათ „ეროვნულზე“, თუმც სტუმრებმა რამდენიმე წუთი „მოიპარეს“. ერთი სიტყვით, ვარჯიში მანამდე გაგრძელდა, სანამ სტადიონს ქართველი ახალგაზრდები არ მოადგნენ და... მინდორი დაკავებული დახვდათ. პრობლემა მალე მოგვარდა — ალბანელებმა მოედნის ერთი ნახევარი გაათავისუფლეს, თუმც ჩვენებურების ვარჯიშზე აქ არაფერს ვიტყვით.

ალბანელები ტექნიკურები ჩანან. ერთი-ორი გამონაკლისის გარდა დაბლები არიან და დიდი ფიზიკური გამძლეობითაც ვერ დაიკვეხნიან. მწვრთნელი კი ჩვენთვის კარგად ნაცნობი ჰასან ლიკაა, რომელიც თბილისში შარშანაც გახლდათ. მაშინ ჩვენებმა ბოლნისურ „თამაზ სტეფანიაზე“ 3:1 მოუგეს ლიკას შეგირდებს.

სტუმართაგან ყველაზე გამოცდილი სამია — საბერძნეთის ჩემპიონატში მოთამაშე ჯეჯი მუზაკა, იტალიური „რომას“ წევრი დევის ბოშნიაკუ და თვეების წინ ქართველების თანაგუნდელი, იანინელი ემილიანუ ბარკა.

გაგიკვირდებათ და, ალბანელებს ლეგიონერი ამერიკულ MLS-შიც ჰყავთ — ბექიმ ბეგა „დეტროიტის“ ღირსებას იცავს.

გუნდის შესაძლებლობებში გარკვევა ერთ-ერთ ალბანელთან ვცადეთ, რომელიც მოედნის კიდიდან ადევნებდა ვარჯიშს თვალს. შუახნის ჭაღარა მამაკაცი რუსულად ლაპარაკობდა. ალბანელმა გუნდის შემადგენლობაც ჩამაწერინა და საუბრისას რამდენჯერმე მომიბოდიშა, რუსულად კარგად ვერ ვლაპარაკობო, თუმც ეს არც ისე ცუდად გამოსდიოდა, როგორც თავად წარმოედგინა. მოკლედ, ეს კაცი ნაკრების ექიმი ზიდი კობა გამოდგა. იმავდროულად კი თურმე „ვლაჟნიაშიც“ მუშაობს.

— გუშინდელივით მახსოვს ის დღე. ამ სტადიონზე თბილისის „დინამოს“ ვეთამაშებოდით. მაშინ ერთი უაზრო შეცდომის გამო უეფას თასიდან გავვარდით. „ვლაჟნიაში“ დღესაც ცუდად იხსენებენ მაშინდელს — სევდიანი ღიმილით გვითხრა სტუმარმა. გეხსომებათ, 1998-99 წლების სეზონში „დინამოს“ უეფას თასზე „ვლაჟნია“ შეხვდა. პირველი მატჩი ჩვენებურებმა 1:0 მოიგეს, საპასუხო კი 1:3 წააგეს, თუმც საქმეში უეფა ჩაერია და... თბილისურ მატჩში დისკვალიფიცირებული ფეხბურთელის გამოყენების გამო ალბანელებს 0:3 მარცხი ჩაეთვალათ და „დინამომაც“ შემდეგ ეტაპს უწია.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჰასან ლიკას რჩეულ 19 ფეხბურთელს გაგაცნობთ: *ჯონ დედა (ეგნატია), ჰენრი ნარეკა (პარტიზანი); ალბან მუჩა (ტირანა), არმენდ დალკუ (პარტიზანი), დეფიკ ოსმანი (ელბასანი), რამან ალაჩი (პარტიზანი), ედლირ ტეტოვა (ტეუტა), ჰეტლენ ჩაპია (ელბასანი), ჰამდი სალიჰი (ვლაჟნია), ჯეჯი მუზაკა (საბერძნეთი), დევის ბოშნიაკუ (რომა, იტალია), ერვინ ლანი (ლუშნია), ემილიანუ ბარკა (იანინა, საბერძნეთი), ალბან ბოჟუტი (ლუშნია), კრისტო ვანჯელი (საბერძნეთი), ბექიმ ბეგა (დეტროიტი, აშშ), ცოკოლ კასანი (ავსტრია), მარინგლენ კულე (ფიერი), ოლსი ლაკა (გერმანია).*

ძახა შალამბერიძე

გაიზარდე დიდი ბიჭი!

იბრძოლე, თორემ წაგიხდა ნიჭი

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა გუშინ „ეროვნულზე“ მსუბუქად ივარჯიშა. გოჩა ტყებუჩავამ ბიჭებს ძირითადად კომბინაციები დაახვეწინა.

ფეხბურთელები ჯანზე არიან და დღევანდელ მატჩსაც იმედით ელიან. ეგაა, ტრავმა ვერ მოირჩინა ვიტჯორჯიელმა ირაკლი ებანოიძემ და მისი თამაში დღეს გამორიცხულია. ვარჯიშის დაწყებამდე კი გოჩა ტყებუჩავამ პრესკონფერენცია გამართა და თითქმის ყველა კითხვაზე ამომწურავად გვიპასუხა...

— გუნდში ჯანსაღი ვითარებაა და ეს ძალიან მახარებს. გუშინ საკმაოდ ნაყოფიერი ვარჯიში გვქონდა. ბიჭებმა ძალები აღიდგინეს, სტანდარტულებიც დავამუშავეთ. დღეს, ცხადია, უფრო მსუბუქად ვივარჯიშებთ. ტრავმირებული მხოლოდ ებანოიძეა, რომელიც ალბანელებთან ვერ ითამაშებს.

ბადრი ჯობავაძის ფოტო

— მეტოქეზე რა ინფორმაცია გაქვთ?

— ალბანეთ—საბერძნეთის მატჩს გაიოზ დარსაძე დაესწრო და საკმაოდ ბევრი ინფორმაციაც ჩამოგვიტანა. უკვე ვიცი, როგორი გუნდია ალბანეთი, რა სქემით თამაშობს, რა პლუს-მინუსი აქვს. ასე რომ, ახლა მხოლოდ მუშაობაა საჭირო. ეგაა, კასეტა ვერ ჩავიგდეთ ხელში, თორემ უკეთეს სიტუაციაში ვიქნებოდით. ისე კი, ვფიქრობ, ხვალ უფრო რთული მატჩი გველის, ვიდრე თურქეთთან გვქონდა.

— ამ თაობისგან გულშემატკივარი ბევრს ელის...

— მეც ვიტყვი, რომ მართლაც კარგი თაობა მოდის, მაგრამ მარტო ნიჭით ფეხბურთს ვერ ითამაშებ. მე ბრძოლას ვითხოვ და ეს ბიჭებმა კარგად იციან. ენერგია მოედნიდან გარეთ არ უნდა გაიტანო. ფეხბურთელმა ძალები მინდორზე უნდა დახარჯოს და ვინც ასე არ მოიქცევა, არ მჭირდება. ამ მხრივ თურქეთში ყველაფერი კარგად იყო. დარწმუნებულიც კი ვიყავი, რომ თბილისში, სულ მცირე, ქულით მაინც დავბრუნდებოდით.

— დღეს თუ იცით, რა ტაქტიკას დაუპირისპირებთ ალბანეთს?

— ყოველ შემთხვევაში, თურქეთთან გამოყენებულ ტაქტიკას რადიკალურად რომ შევცვლი, ფაქტია. შინ ვთამაშობთ და ვალდებულებიც ვართ, რომ შევუტიოთ. ჩვენთვის წარმატება მხოლოდ სამი ქულა იქნება.

ძახა შალამბერიძე

geo_geo_fan@hotmail.com

უნდა ვაღიარო, რომ თურქეთთან მატჩის მერე ჩვენი მკითხველისგან უფრო ოპტიმისტურ წერილებს ველოდი. ცხადია, არა იმიტომ, რომ ჩვენებმა გადასარევად ითამაშეს — ითამაშეს როგორც შეეძლოთ — არამედ შედეგის გამო. ფრე ტრაპიზონში კი ამ თვალსაზრისით ურიგო შედეგი არ არის. მეტიც, კარგი შედეგია. მაგრამ გულშემატკივარი ერთ კონკრეტულ თამაშში აღებულმა ერთმა ქულამ ვერ დააკმაყოფილა. ვფიქრობ, იმიტომ, რომ საქართველოს ნაკრების ძალა ვერ დაინახა. ის ძალა, რომლითაც ჩვენი ეროვნული გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა გავიდეს.

შეიძლება ვინმეს გულისწყრომა გამოიწვიოს იმანაც, რომ ხვალ ნაკრებს მნიშვნელოვანი მატჩი აქვს და ამ მატჩის წინ ჩვენი მკითხველის კრიტიკულ წერილებს ვაქვეყნებთ. მაგრამ საამისოდ არგუმენტიც არსებობს: საქართველოს ნაკრები კერძო საკუთრება არ არის, ის ყველასია, ვისაც ფეხბურთი უყვარს და ამდენად აზრის გამოთქმის უფლებაც აქვს — სწორია და მისაღებია ეს აზრი ფეხბურთელისთვის და მწვრთნელისთვის თუ არა.

იმედი რომ არ მოკვდეს

ხალხი ხარისხიან შედეგს ითხოვს

NIKOLASI-ის წერილით დავიწყოთ:

— რა უნდა გითხრათ, საშინელი სანახავი იყო ჩვენი ნაკრების თამაში თურქეთში. თვითონ მწვრთნელები თუ ვერ ხვდებიან, იქნებ ვინმემ უთხრას, რომ სანამ ჯამარაული, არველაძე, რეხვიაშვილი, დემეტრაძე ითამაშებენ, ჯგუფიდან გასვლაზე ოცნებაც კი ზედმეტია. ან ჯაკობია და კვარაცხელია? — ნუთუ ისინი საქართველოში საუკეთესოები არიან? ოლოლო მაშინ საქართველოს.

თუ ვინმე გაითვალისწინებს, არ ვიცი, მაგრამ ჯაბა კანკავას უთამაშებლობა მგონი დანაშაულია, ეს პატარა ბიჭუნა ხომ ახლა ყველას სჯობია. ჩემი აზრით, ცენტრში საყრდენებად კანკავა და ასათიანი უნდა ათამაშონ.

დიდი მადლობა ყურადღებისთვის, კეთილი სურვილებით, ნიკა.

მომდევნო წერილი ჩვენი მუდმივი ავტორისგან, GBERIDZE-1987-სგან მივიღეთ:

— ჩემი აზრით, ჟირესი ცდება, როდესაც ინტერვიუში ამბობს, რომ მალხაზ ასათიანი დაცვითი სტილის ნახევარმცველია. იგი ასე ალბათ იმიტომ ფიქრობს, რომ მახოს სიომინი „ლოკომოტივის“ უკანა ხაზში ათამაშებს. არა მგონია, საქართველოს ნაკრებს ჩამშლელი ასათიანი რამეში წაადგეს. რაც შეეხება მომავალ მატჩს, ალბანეთთან საჭიროა აგრესიული, შემტევი ფეხბურთის ჩვენება, ბრიგელის გუნდი შარშანდელთან შედარებით უფრო მოტივირებული და მომზადებული ჩამოვა. ვფიქრობ, ალბანეთი მეტწილად დაცვაზე იქნება ორიენტირებული და შეეცდება, თბილისიდან ერთი ქულა წაიღოს. ფაქტიურად, ისინი ისევე ითამაშებენ, როგორც ჩვენ ტრაპიზონში. ამიტომ საქართველო უნდა შეეცადოს, რომ თურქების მიერ დაშვებული შეცდომები არ გაიმეოროს.

დღეისთვის ერთ წერილსაც წარმოგიდგენთ, დანარჩენი კი ხვალისთვის იყოს:

— ვეცდები მოკლედ გამოვხატო ჩემი მოსაზრება თურქულ მატჩთან დაკავშირებით. დაგვამახსოვრდება რეზულტატი და არა თამაშის ხარისხი. საქართველო გადაეჩვია პასის კულტურას, კომბინაციურ თამაშს და ერთადერთი პლუსი იყო თავდადება და თავგანნირული ბრძოლა. ჟირესმა აშკარად დააგვიანა შეცვლა. მალხაზი ცოტა ადრე რომ გამოსულიყო, იქნებ მოგებაც შეგვძლებოდა. მაგრამ რას აკეთებს ნაკრებში, მაგალითად, ჯაკობია, ჩემთვის უბრალოდ გაუგებარია — იმედია, არა მარტო ჩემთვის. გამოვყოფდი მჟავანაძეს და დევაძეს, სხვას არავის. ჩვენი დაცვა, მაპატიეთ, მაგრამ „პრახადნოი დვორია“. თურქეთმა გვაპატია იმიტომ, რომ ღრმა კრიზისშია, მაგრამ უკვე აშკარად აღმავლობის გზაზე მყოფმა ალბანეთმა შეიძლება აღარ გვაპატიოს. ალბანელებთან დიდი ბრძოლა იქნება, და, ჩემი აზრით, სწორედ ეს შეხვედრა იქნება ჩვენი ნაკრებისთვის გადამწყვეტი. ნებისმიერი სხვა შედეგი გარდა მოგების, ჩვენ შანსს (ალბათ თეორიულს) დაგვიტოვებს, მაგრამ უკვე ყველა ილუზიას მოგვისპობს. ყველანი სტადიონზე და გადაჭედილი ტრიბუნებით ჩვენ, რიგითმა გულშემატკივრებმა, ჩვენი საქმე ვქნათ. ლელო, ლელო, საქართველოს!

პატივისცემით, BOBAN THE GEORGIAN

მოკლედ, როგორც BOBAN მოგვიწოდებს, ყველანი სტადიონზე! ოღონდ სტადიონზე წასვლამდეც და იქიდან მობრუნებულებმაც არ დაიზაროთ და თქვენი მოსაზრებები მოგვწერეთ.

WEB ოსტატი ბუარა

geo_geo_fan@hotmail.com

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. სამხრეთ ამერიკა

რონალდომ ბრაზილია ქალში გაცვალა

VIII ტური

ბრაზილია 3:1 ბოლივია

1:0 რონალდო (1), 2:0 რონალდინიო (13პ), 3:0 ადრიანო (44), 3:1 კრისტალდო (49)

ბრაზილია: ჟულიო სეზარი, ბელეტი, ედმილსონი, როკე ჟუნიორი, რობერტო კარლოსი, ჟუნინიო პერნამბუკანი (რენატო 60), ჟილბერტო სილვა, ედუ (რობინიო 74), რონალდინიო (ალექსი 60), რონალდო, ადრიანო

ბოლივია: ლ. ფერნანდესი, ო. სანჩესი, პენა, რალდესი, ლ. ალვარესი, ლ. რიბეირო (არანა 46), კრისტალდო, ლ. პიზარო, კოლკე (ტუფინო 46), ლ. გუტიერესი (კოიმბრა 76), ბოტერო

მსაჯი: ექტორ ბალდასი (არგენტინა)

72 000 მაყურებელი

„პირველსავე წუთზე გატანილმა გოლმა საქმე გაგვიადვილა. დარწმუნებული ვარ, სწრაფად რომ ვერ გაგვეტანა ქომაგები სტვენით აგვიკლებდნენ და მოგება გაგვიჭირდებოდა“ — თქვა ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა კარლოს ალბერტო პარეირამ ბოლივიასთან შინ გამარჯვების შემდეგ. „მეორე ტაიმში ცხრა საგოლე მომენტი შევქმენით, მაგრამ ერთიც ვერ გამოვიყენეთ“ — დასძინა მანვე.

ანგარიში რონალდომ 55 წამში, ახლოდან დარტყმით გახსნა მას შემდეგ, რაც სტუმარ მცველებს დაუსხლტა და კარის წინ ეულად დარჩა. ეს რონალდოს მეშვიდე გოლი გამოდგა და იგი ბომბარდირთა სათავეში მოექცა.

მეორე გოლისას ლუის კრისტალდომ როკე ჟუნიორი წააქცია, არგენტინელმა მსაჯმა ექტორ ბალდასიმ კი პენალტი დანიშნა. თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა რონალდინიომ ზუსტად გამოიყენა.

ტაიმის მიწურულს „კოპა ამერიკის“ მთავარმეგოლე ადრიანომაც იხეირა, მცველებზე მაღლა ახტა და ლეო ფერნანდესს თავით გაუტანა. ეს იყო ადრიანოს პირველი გოლი შესარჩევ ტურნირში.

ბოლივიელებმა მეორე ნახევარში შედარებით გამოასწორეს თამაში. ლუის გატი რიბეიროსა და პერსი კოლკეს შეცვლით სტუმრების დაცვა შედარებით გაუმჯობესდა. რუბენ ტუფინომ და რონალდ არანამ მასპინძელთა ნავარდი ოდნავ შეასუსტეს, თავად კი ერთის გაქვითვა მოახერხეს — ლუის კრისტალდომ საჯარიმოს ხაზიდან დაჰკრა, მცველისგან ასხლეტილი გეზნაცვალი ბურთი კი ჟულიო სეზარის კარში აღმოჩნდა.

ბრაზილიელმა რონალდომ სტუმრებს დებიუტში, 55-ე წამზე გაუტანა

REUTERS სან პაულოდან

ამის შემდეგ ბოლივიელმა მეკარე ლეო ფერნანდესმა რამდენჯერმე იყოჩაღა, შეხვედრის ბოლო წუთზე კი ჟილბერტო სილვამ მეოთხე გაიტანა, მაგრამ მსაჯმა მანამდე წესის დარღვევა აღნიშნა და გოლი გააუქმა.

ბრაზილია ხვალ ბერლინში გერმანიას ამხანაგურად ხვდება. ამ მატჩში რონალდო არ ითამაშებს, რადგან ახალ სატრფოსთან, დანიელა ჩიკარელისთან ერთად დარჩენა ისურვა და კარლოს ალბერტო პარეირამაც დასვენების უფლება მისცა.

URUGVAI 1:0 ECUADOR

1:0 ბუენო (58)

URUGVAI: ვიერა, ბიზერა, პ. მონტერო, დ. როდრიგესი, დიოგო, მ. სოსა, ხ. დელგადო, რეკობა (დ. პერესი 78), კ. როდრიგესი (ეშტოიანოფი 57), დარიო სილვა (ვ. სანჩესი 25), ბუენო

ECUADOR: ვილაფუერტე, დე ლა კრუზი, ი. ურტადო, ჯ. ესპინოზა, რეასკო, მ. აიოვი, სოლედისპა (კინონესი 70), ე. მენდესი, ვ. აიოვი (ვალენსია 75), ბალდეონი (ა. დელგადო 60), კ. ტენორიო

მსაჯი: ჟილბერტო იდალგო (პერუ)

40 000 მაყურებელი

მიჯრით წაგებული სამი შეხვედრის შემდეგ ურუგვაიმ ეკვადორს მოუგო და მეცხრედან მეშვიდე ადგილზე აინაცვლა.

სტუმართა კარში სადავო გოლი გავიდა. ფაბიან ეშტოიანოფის პასს კარლოს ბუენომ თავი დაჰკრა, მეკარე ედვინ ვილაფუერტემ ბურთი მოიგერია, რომელსაც კვლავ ბუენოს უთავაზა. მეკარემ მეორე ცდაზე შეძლო ბურთის მოხელთება, მაგრამ პერუელმა მსაჯმა ჟილბერტო იდალგომ თქვა, ხაზს შიგნით იყოო და გოლი ჩათვალა. ეკვადორელები ამაოდ ეჩხუბნენ იდალგოს.

სტუმრებმა პირველი მატჩი გამართეს ახალი მწვრთნელის, ლუის სუარესის ხელმძღვანელობით. მან, „კოპა ამერიკის“ შემდეგ ერნან დარიო გომესი შეცვალა. სუარესმა გუნდში 36 წლის ალექს აგინაგას ალარ უხმო, ფორვარდი ივან კავიედესი კი უდისციპლინობის გამო ძირითად შემადგენლობას მოარიდა.

ურუგვაელმა ალვარო რეკობამ, რომელსაც გასულ კვირას ვარჯიშზე ფანებმა უსტვინეს, პირველივე წუთზე ბურთი ძელს შეაწყვიტა. კარლოს ბუენოს შესრულებული საჯარიმო დარტყმა ვილაფურტემ უკუაგდო. დარიო სილვა კი ტაიმის შუაში დაშავდა და შეცვალეს. კარლოს ბუენოს მორიგი დარტყმა ეკვადორელმა მეკარემ არ გაუშვა, ხოლო რეკობა 84-ეზე მოედნიდან კვლავ ფანთა სტვენის თანხლებით გავიდა.

დამარცხებულთა თავკაცმა ნამატჩევს თქვა: „ჩვენ ორგანიზებულად კი ვითამაშეთ, მაგრამ ასე ჯგუფიდან ვერ გავალთ, რადგან შეტევაში მეტი რისკია საჭირო“.

ურუგვაის მწვრთნელმა ხორხე ფოსატიმ განაცხადა: „გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანია, თუმც ამით ჯერ არაფრისთვის მიგვიღწევია“.

მასპინძელთა კაპიტანი პაოლო მონტერო: „ლიდერებს გვარიანად ჩამოვრჩებით. მომდევნო შეხვედრა არგენტინასთან გველის და აუცილებლად უნდა მოვიგოთ, რათა სხვაობა შევამციროთ“.

ჩილე 0:0 კოლუმბია

ჩილე: ტაპია, ვილაროელი, ფუენტესი, ოლარა, რ. პერესი, მალდონადო, აკუნია, მიროშევიჩი (ტელო 60), დ. პიზარო (ვალენსუელა 60), ნავია (მ. სალასი 46), პინილია

კოლუმბია: კალერო, ლ. პერეა, ი. კორდობა, იეპესი, ბედოია, ფ. ვარგასი, ვიაფარა, ოვიედო (ე. პერეა 87), ჯ. ერნანდესი (პატინო 56), ხ. კასტილიო, პრესიადო (ე. მურილიო 65)

გაძევება: ვიაფარა (17), მალდონადო (20), პერესი (71), პატინო (71)

მსაჯი: უილსონ დე სოუზა (ბრაზილია)

63 000 მაყურებელი

სანტიაგოში ჩილემ კოლუმბიას ვერ მოუგო, მაგრამ 63 ათასი მაყურებელი ბრაზილიელმა მსაჯმა გაახალისა — მან ოთხი ფეხბურთელი გააძევა. უილსონ დე სოუზამ წითელი ბარათი ჯერ სტუმარ ჯონ ვიაფარას აუფრიალა, რომელმაც უბურთო კლაუდიო მალდონადოს ფეხი ჩასცხო. მალდონადო დაეცა და პრანჭვა-გრეხვა რომ დაიწყო, სამკურნალოდ გაიყვანეს. სამი წუთის შემდეგ უკან დაბრუნებულმა იუხეშა და დე სოუზამ წითელი ბარათი მასაც არ დაამადლა.

მეორე ტაიმის შუაში ჩილელი როდრიგო პერესი და კოლუმბიელი პატინო ბურთისთვის შეებნენ, რაც ორმხრივი ფეხების ქნევით და ორივეს გაძევებით დასრულდა.

მასპინძლებს შესვენებამდე ერთი საგოლე მომენტი ჰქონდათ. პერესის პასს რეინალდო ნავიამ თავი დაუხვედრა. მიგელ კალერომ კი ბურთი მოიგერია. მასპინძლები ერთ ეპიზოდში პენალტს ითხოვდნენ, როცა ლუის პერეამ მაურისიო პინილია წააქცია. კოლუმბიელმა ლიდერ პრესიადომ დამხვდურთა კარის ჩარჩოს მოარტყა ბურთი და სხვამხრივ სტუმრებს თავი არაფრით გამოუჩენიათ.

ეს კაცი უილსონ დე სოუზაა, მან წითელი ბარათი ოთხჯერ ააფრიალა

REUTERS სანტიაგოდან

სამწლიანი შესვენების შემდეგ ჩილელთა ნაკრებში მარსელო სალასი გამოჩნდა, მაგრამ თავისიანებს გოლით ვერ შეეწია, ხოლო ნამატჩევს შეცვლით უკმაყოფილო დავიდ პიზარომ გასახდელში შესვლამდე სარეკლამო ფარი ჩაწიხლა

PARAGVAI 1:0 VENESUELA

1:0 გამარა (53)

PARAGVAI: ვილიარი, სარაბია, კასერესი, გამარა (მანსური 84), და სილვა, პარედესი, ენსისო, გავილანი (ბარეტო 78), კუევასი, ხ. კარდოზო (ს. რამირესი 58), სანტა კრუზი

VENESUELA: ანგელუჩი, ვალენილია, რეი, ჩიკერო, ხ. როხასი, ლ. ხიმენესი, ვერა, პაესი (რონდონი 68), ურდანეტა (ე. გონსალესი 71), არანგო, რ. კასტელინი (ა. მორენო 77)

მსაჯი: გუსტავო მენდესი (URUGVAI)

45 000 მაყურებელი

ვეტერანმა კარლოს გამარამ მეორე ტაიმის დასაწყისში ბრწყინვალე თავური დარტყმით გაიტანა და პარაგვაი ჯგუფში მესამე ადგილზე მოაყუჩა. 33 წლის მცველმა კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთზე მცველებს დაასწრო და ჟილბერტო ანგელუჩი გახევებული დატოვა.

ვენესუელამ შესარჩევი ტურნირი ზედიზედ სამი მოგებით დაიწყო, მაგრამ ბოლო სამი შეხვედრა ისე დაასრულა, რომ გოლიც კი არ გაუტანია და ცხრილში მეექვსე საფეხურზე დაეშვა.

მასპინძელმა კარლოს პარედესმა პირველ ტაიმში ბურთი ძელს დააჯახა, ხოლო ნელსონ კუევასის დარტყმულს ანგელუჩი დაუხვდა.

ვენესუელელებს ორი მომენტი ჰქონდათ: ხოსე მანუელ რეიმ ორჯერ შეასრულა საჯარიმო, მაგრამ ხუსტო ვილარმა არ გაატანინა.

მატჩის გმირი კარლოს გამარა კი თამაშის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე დაშავდა და შეცვალეს.

ᲒᲝᲚᲘᲡ ᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘ

ბრაზილია	8	4	4	0	14:8	16
არგენტინა	8	4	3	1	14:7	15
პარაგვაი	8	4	2	2	10:8	14
ჩილე	8	3	3	2	9:7	[illegible]
ეკვადორი	8	3	1	4	8:8	[illegible]
ვენესუელა	8	3	1	4	6:8	[illegible]
URUGVAI	8	3	1	4	13:19	[illegible]
პერუ	8	2	3	3	10:10	[illegible]
კოლუმბია	8	2	2	4	10:10	[illegible]
ბოლივია	8	2	0	6	10:19	6

ხუთი ან ექვსი უცნობი ცვლილება



მარჩელო ლიპი სამოლდოვოდ „სკუადრა აძურას“ შეცვლის

ჯენარო გატუზომ პოზიცია შეიცვალა — ადრე „სკუადრა აძურას“ დაულალავი კრიტიკოსთაგანი იყო, ახლა კი ახალი გუნდის სულისკვეთებით არის მოხიბლული. ფრანჩესკო ტოტი კი, ამასობაში, კიშინიოვის მაგივრად შინისკენ გაემგზავრა.

„ნორვეგიელებთან ძნელი შეხვედრა გამოგვივიდა, მაგრამ თვალნათლივ დავინახე ბიჭების ჟინი და თავდადება. გუნდის თითოეულმა წევრმა დიდი მონდომებით ითამაშა და შეხვედრის ამ ასპექტით უკიდურესად კმაყოფილი დავრჩი. ზოგადად, საერთო საფეხბურთო სტანდარტსაც არა უშავს, ესეც დამაკმაყოფილებელი გახლავთ“ — განაცხადა „მილანის“ ნახევარმცველმა, როდესაც მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველი შეხვედრის გახსენება და შეფასება სთხოვეს. გატუზო კი სწორედ ის ადამიანია, რომელიც აცხადებდა, რომ იტალიის ნაკრები მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე და ევრო 2004-ზე მთელი დედამიწის დასაცინ გუნდად იქცა.

„ვცდილობდი ტრადიციისამებრ ჩემი წვლილი შემეტანა მოედნის შუაში და ტიპიურ, გატუზოურ ფეხბურთს ვთამაშობდი. ჩემი ამოცანაა გუნდის თამაშს ინტენსიურობა შევძინო და ბურთი, რომელიც მოწინააღმდეგეს აქვს, ჩემს თანაგუნდელებს დავუბრუნო. საბოლოოდ, მინდა ვთქვა, რომ თამაშით კმაყოფილი ვარ“ — დასძინა ნახევარმცველმა, რომელიც ეჭვი არაა ოთხშაბათს, კიშინიოვში მოლდოვის წინააღმდეგაც ითამაშებს, რასაც ვერ შეძლებს „რომას“ კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი, ვინაიდან კოჭი აქვს ნატკენი და შინ, რომში დაბრუნდა. ტოტიმ კოჭი უმნიშვნელო ამხანაგური შეხვედრის დროს იტკინა და თავიდან მასაც და ნაკრების ხელმძღვანელობასაც იმედი ჰქონდათ, რომ მალე დაუამდებოდა, მაგრამ „სკუადრა აძურას“ ექიმთა ჯგუფის ბოლო დასკვნა სამწუხარო გამოდგა.

ალესანდრო დელ პიერომ კი კვირის ვარჯიშზე სამი გოლი გაიტანა და მიმომხილველების რწმენით ოთხშაბათს მოლდოვასთან შეხვედრაში სანაკრებო ორომტრიალს დაუბრუნდება.

ნორვეგიელებთან შეხვედრაში დელ პიერო, მოგეხსენებათ, არ იყო, მაგრამ როგორც ამბობენ — ახლა სრულიად გამოჯანმრთელებულია. მან „პალერმოს“ ახალგაზრდული გუნდის შერეულ ნაკრების ნაწილს ორი გოლი გაუტანა, თუმცა მისმა გუნდმა მეტოქისგან, კერძოდ კი ბერნარდო კორადისგანაც ორი მიიღო და საბოლოოდ შეხვედრა ფრედ დასრულდა.

ვის შეცვლის დელ პიერო იმ შემადგენლობიდან, რომელმაც ნორვეგიას 2:1 მოუგო? ამჯერად უცნობია. რაც შეეხება პალერმოელ ლუკა ტონის, რომელიც ნორვეგიასთან მატჩში მოედანზე მოგვიანებით შევიდა და სკანდინავიელთა კარში მეორე გოლი გაიტანა, იგი კორადის მხარეს, მის მეწყვილედ თამაშობდა და ორჯერ გაარტყა ბურთი ძელს.

მარჩელო ლიპი: „ნორვეგიასთან შეხვედრაში ძალიან დიდი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ენერგია დავხარჯეთ, ასევე, რომ ამ თამაშის სასტარტო შემადგენლობასთან შედარებით მოლდოვაში შეიძლება ხუთი ან ექვსი ახალი ფეხბურთელი ვათამაშო, თუმცა კერძოდ ვინ და ვის მაგივრად, ამას ჯერჯერობით ნუ მკითხავთ“.

რაც შეეხება ფავორიტიზმს, რაც „სკუადრა აძურაში“ ბოლო ხანს თემად იქცა, ლიპი ასე უდგება: „მსოფლიო კლასის ფეხბურთელებს პატივი უნდა ვცეთ და მათგან ძალიან კარგი თამაში მოვითხოვოთ, მაგრამ ზედმეტი პასუხისმგებლობით არ უნდა შევბოჭოთ. ჩვენს გუნდში საგანგებო ვალდებულება არავის დაეკისრება, პასუხისმგებლობა საყოველთაოა. მე ველაპარაკე ტოტის და დავრწმუნდი, რომ მისი ჯანმრთელობით არ უნდა გაგვერისკა, ისევე როგორც არ უნდა გაგვერისკა ნორვეგიასთან შეხედრაში დელ პიეროთი. მე როგორც ერთის ასევე მეორის გარეშე ძალიან კარგად წარმომიდგენია ნაკრები და ეს შაბათს გამოჩნდა კიდეც.“

პაპუნა კედია

დელ პიერო მოლდოვასთან ალბათ, სასტარტოში იქნება



დევიდ ბექემმა მწვრთნელს და ინგლისს აღუთქვა, პოლონეთში მოვიგებთო

სულ აქ ვიქნებიო, თქვა შვედმა

სვენ გორან ერიკსონმა განაცხადა, რომ ინგლისის ნაკრებიდან წასვლას არ აპირებს იმის მიუხედავად, რომ ინგლისურმა პრესამ უკვე ატეხა ამბავი: დანამდვილებით ვიცით, თუკი შაბათს ავსტრიაში ორქულადანაკარგი ნაკრები ოთხშაბათს პოლონეთში ვერ მოიგებს, შვედს გადააყენებენო.

„სიმართლე ითქვას, ნაკრებიდან მხოლოდ მაშინ წავალ, თუკი გუნდს 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ გავიყვან. იმის მერე კი ალბათ კიდევ ორ წელიწადს ვიმუშავებ“, თქვა ერიკსონმა.

მგონია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე გავალთ — ამბობს მენეჯერი და საპოლონეთოდ ცვლილებებს არ გეგმავს.

„ახლა ყველაზე უარესი, პანიკაა. ვთქვათ ხუთი ფეხბურთელის შეცვლა. ოუენის, ბექემის არგამოყვანა. ეს სისულელეა. ჩვენ, ალბათ მსგავს ტაქტიკას მივმართავთ. რევოლიციური არაფერი იქნება — განმარტავს ის. — ავსტრიასთან პირველი ტაიმი საუცხოოდ ვითამაშეთ. თუ პოლონეთს მოვუგებთ ორი მატჩიდან ოთხი ქულა გვექნება, რაც ურიგო შედეგი ნამდვილად არაა“.

ავსტრიელებთან მატჩში საშინლად შეცდა მეკარე დევიდ ჯეიმსი, რომელმაც მეორე გოლი ფეხებშუა გაუშვა. ამის მიუხედავად ერიკსონი ამბობს, რომ ჯეიმსი კვლავაც იდგება ნაკრების კარში, თუმცა, იქვე განმარტავს, რომ საბოლოო შემადგენლობა ოთხშაბათს გამოცხადდება.

„მგონია, რომ პოლონელებთან მატჩის შემდეგ მეექვსე ჯგუფის სათავეში ვიქნებით — მიაჩნია მენეჯერს, რომელსაც მართლა გვარიანად აწვება პრესა — ჩვენი ყველაზე რთული პრობლემა ის არის, რომ მოპოვებულ უპირატესობას ძალიან იოლად ვფლანგავთ. ეს მართლაც სამსჯელოა. თამაშს ყველანი ერთად ვიგებთ და ერთადაც ვაგებთ. ერთ ფეხბურთლს ვერ დაადანაშაულებ. ამიტომ, მეც პასუხისმგებელი ვარ.“

ერიკსონი დიდი მონდომებით დაიცვეს მისმა ფეხბურთელებმაც. გარი ნევილმა თქვა, ავსტრიულ ამბავში სვენი არაფერშუაშია, ჩვენი ბრალია და ჩვენვე უნდა მოგვეკითხოსო. ბექემმა კი ლამის პირობა დადო, პოლონეთს სამ ქულას ავართმევთო.

ირაკლი გამყრელიძე

მომეცით ხუთი წელი

„ნაპოლის“ გარშემო შექმნილი ქაოსური მდგომარეობა შესაძლოა დალაგდეს — კინოპროდიუსერმა, მილიონერმა აურელიო დე ლაურენტისმა საქმეში ჩარევის სურვილი გამოთქვა და ხელები დაიკაპიწა

საქმე კი ის გახლავთ, რომ დიეგო მარადონას ყოფილი კლუბი, ოდესღაც სკუდეტოსა და უეფას თასის მფლობელი „ნაპოლი“ ივლისში ბანკროტად გამოაცხადეს და სერია C1-დან დაწყება მიუსაჯეს. ამის გამგონე პრეზიდენტმა, ლუჩანო გაუჩიმ სასამართლოში იჩივლა. გაუჩი სერია B-ში აღდგენას ითხოვდა. ამას მოჰყვა ის, რომ გასული კვირის დასაწყისში ნეაპოლის ტრიბუნალმა — რომელმაც „ნაპოლის“ ამბის გარკვევამდე ჩემპიონატისა და იტალიის თასის ყველა შეხვედრა გააჩერა — დაასკვნა, რომ მას სპორტული საკითხების გადაწყვეტის უფლება არ აქვს და „ალავერდს“ „ლაციო TAR“-თან გადავიდა, თუმცა მერე ისე გამოჩნდა, რომს კლუბზე კონტროლის დაწესება მაინც გაკოტრების ტრიბუნალს მოუწია და იგი გაუჩის ჩამოართვა და დე ლაურენტისს გადასცა.

დე ლაურენტისი დაინტერესებული კაცი ჩანს და რამდენადაც ირკვევა, დიდძალი თანხის გაღებას ფიქრობს. შესაბამისად, საფეხბურთო საქმეთა შეფებს ფინანსური გარანტიებიც ექნებათ. ერთი სიტყვით, „ნაპოლი“ დე ლაურენტისის ხელში... ისევ სერია C1-დან, ოღონდ მდიდრად.

საბოლოოდ, იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ „ნაპოლის“ 10 დღე გამოუყო, რათა მან ფეხბურთელები და მწვრთნელი დაიქირაოს — გამოვიდა, რომ უკვე დახურულ სატრანსფერო ფანჯარაში ნეაპოლელთათვის სარკმელი გამოაღეს.

დე ლაურენტისმა, სხვათა შორის, უკვე გამოთქვა სურვილი მწვრთნელად „მილანის“ ყოფილი ვარსკვლავი, „ჯენოასა“ და „ლივორნოში“ ნამუშავარი რობერტო დონადონი დანიშნოს. მან თქვა:

„მომეცით ხუთი წელიწადი და მე „ნაპოლის“ ევროპაში გავიყვან. ჩემი ოცნებაა „სან პაოლოზე“ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ითამაშოს, ამისათვის კი ახლა ძლიერი გუნდის შექმნა და სათამაშო გეგმის დასახვაა საჭირო“.

პაპუნა კედია

ინტენსიური ჯვირაჯ

რუდი ფიოლერი „რომაში“ ფრანგ ვენსან კანდელაზე აპირებს დაყრდნობას. გუნდის ახალი გერმანელი მწვრთნელი ამბობს, რომ კანდელა მის ხელში ხელახლა დაიბადება და გუნდის ტაქტიკურ მონახაზში დიდ როლს ითამაშებს.

„კანდელამ ჩვენს პირველ ამხანაგურ მატჩში ძალიან კარგად ითამაშა — განაცხადა მწვრთნელმა „ლოდიჯანის“ 3:1 დამარცხების შემდეგ — დიდი იმედი მაქვს, რომ იგი „რომას“ სკუდეტოს მოპოვებაში დაეხმარება“.

შეგახსენებთ, რომ „რომამ“ სკუდეტო ბოლოს 2001 წლის გაზაფხულზე მოიპოვა და იმ სეზონში ფრანგი ფეხბურთელი მართლაც ჩინებულ ფეხბურთს თამაშობდა, თუმცა მას შემდეგ ტრავმებისა თუ სხვა მიზეზების გამო აღარაფრით გამორჩეულა.

კანდელას მარცხენა ფრთაზე შეუძლია, როგორც მცველად, ასევე ნახევარმცველად თამაში.

„ამ წუთას ჩვენ 4-4-2 სისტემაზე ვმუშაობთ — ამბობს ფიოლერი — წინ მთელი სეზონია, რომლის დაწყებამდე ერთი კვირაა. ეჭვი არ მეპარება, რომ თუ ამ კვირის განმავლობაში ინტენსიურად ვიმუშავებთ, ჩემპიონატს გაცილებით ნორმალურ ფორმაში დავიწყებთ“.

შეგახსენებთ იმასაც, რომ ფიოლერი „რომას“ მწვრთნელად ბოლოწამს დაინიშნა, ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ „პარმადან“ ამავე ზაფხულს წამოყვანილმა ჩეზარე პრანდელიმ ოჯახური მიზეზების გამო სამუშაოს გაგრძელება ვერ შეძლო.

დღეს ფიოლერი ამბობს, რომ გუნდის ტაქტიკის თავის გემოზე შესაცვლელად უბრალოდ დრო არ აქვს. „რომამ“ ძნელი პერიოდი გაირა, დღეს, მოსამზადებელ ციკლში, სერია C1 გუნდთან გამარჯვება მნიშვნელოვანია, რადგან ამით ფეხბურთელების მონდომება ჩანს. მე პიროვნულ ცვლილებებსაც ეს მონდომება, ხასიათი დავინახე“.

ამ ზაფხულს რომაელებმა რამდენიმე ცნობილი ფეხბურთელი გაყიდეს. კერძოდ, მათ „იუვენტუსს“ მისცეს ემერსონი და ჯონათან ძებინა, თუმც გამოიკვეთა ის ტენდენციაც, რომ გუნდში ძლიერი ახალგაზრდა თაობა მოდის. იტალიის 21 წლამდელთა ნაკრებში, რომელმაც ამ ზაფხულს ჯერ თანატოლთა ევროპის ჩემპიონატი მოიგო, ხოლო შემდეგ ოლიმპიადაზე მესამე გახდა, „რომას“ ბიჭების გავლენა აშკარა იყო. დღეს მატეო ფერარი და დანიელე დე როსი დიდი „სკუადრა აძურას“ წევრები არიან.

„იმედი მაქვს ფიოლერი ნაკრებში წასულებსაც გვაკვირდება — თქვა შაბათს, ახალგაზრდა იტალიელთაგან ნორვეგიელების კარში ორიდან ერთი გოლის გამტანმა ალბერტო აკვილანიმ — ვფიქრობ ამ ზაფხულს ძალიან კარგად ვივარჯიშეთ. უბრალოდ, ისე გამოვიდა, რომ როდესაც ის ჩამოვიდა, ნაკრებში წავედი და არ ვუნახივარ. ვიცი, „რომაში“ ბევრი ძლიერი ნახევარმცველია და ჩემი ძირითადში მოხვედრის შანსი ძალიან მცირეა, მაგრამ მინდა უბრძოლველად არაფერი დავთმო“.

პაპუნა კედია

რუდი ფიოლერს „რომას“ წარმატების სჯერა

ესპანეთი

სეგუნდადივიზიონი. II ტური

სელტა 1:0 ხიმნასტიკი
1:0 ნაგორე (85)

ელჩე 3:1 სიუდად მურსია
1:0 პერაგონი (11), 1:1 გუიზა (24), 2:1 მოიზესი (58), 3:1 ნინო (83)

ვალიადოლიდი 2:1 ტენერიფე
1:0, 2:0 ადურიცი (21პ, 65), 2:1 კორონა (80)

ფეროლი 0:1 ალმერია
0:1 ისაკი (52)

მურსია 1:3 სპორტინგი
0:1 კალანდრია (10), 0:2 ოლავე (56ს.ჯ), 1:2 კარერა (77), 1:3 პაბლო ალვარესი (82)

კადისი 0:2 ლეიდა
0:1 სერხიო (21), 0:2 სანტოსი (41)

მალაგა II 0:0 ეიბარი

პოლი ეხიდო 0:0 ტერასა

უელვა 0:0 ალავესი

კორდობა 0:0 პონტევედრა

სალამანკა 1:1 ხერესი
0:1 დანი პენდინი (64), 1:1 ზე ტო (89)

ვალიადოლიდი	2	2	0	0	6:3	6
სელტა	2	2	0	0	2:0	6
ტერასა	2	1	1	0	3:0	4
ხერესი	2	1	1	0	2:1	4
ეიბარი	2	1	1	0	2:1	4
უელვა	2	1	1	0	1:0	4
პოლი ეხიდო	2	1	1	0	1:0	4
ლეიდა	2	1	0	1	3:2	3
ელჩე	2	1	0	1	3:2	3
სპორტინგი	2	1	0	1	3:2	3
ხიმნასტიკი	2	1	0	1	2:1	3
ტენერიფე	2	1	0	1	2:2	3
ფეროლი	2	1	0	1	2:2	3
ალმერია	2	1	0	1	1:1	3
სიუდად მურსია	2	1	0	1	2:3	3
მალაგა B	2	0	1	1	0:1	1
კორდობა	2	0	1	1	0:1	1
პონტევედრა	2	0	1	1	0:1	1
ალავესი	2	0	1	1	2:4	1
სალამანკა	2	0	1	1	1:4	1
კადისი	2	0	0	2	1:4	0
მურსია	2	0	0	2	1:5	0

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XXIII ტური

ჰაკა	21	15	4	2	44:12	49
ტამპერე	20	11	4	5	33:18	37
ინტერი	22	11	3	8	38:32	36
ტურკუ	21	11	3	7	31:26	36
მიუპა	22	9	7	6	27:22	34
ლაჰტი	22	8	9	5	30:26	33
ალიანსი	20	9	5	6	22:21	32
ჰიკ	21	7	10	4	30:22	31
კტპ	22	7	7	8	25:24	28
ტპ 47	23	8	4	11	32:36	28
როვანიემი	22	6	4	12	24:38	22
იარო	21	5	3	13	23:39	18
ჯაზი	22	4	5	13	26:48	17
ჰამენლინა	21	2	6	13	23:44	12

საფრანგეთი

II დივიზიონი. V ტური

ბრესტი 2:2 ბატირუ

ბრესტი	6	4	0	2	10:8	12
სედანი	6	4	0	2	9:7	12
რეიმსი	6	3	2	1	8:6	11
ლე ავრი	6	3	1	2	8:5	10
დიჟონი	6	3	1	2	7:5	10
ლე მანი	6	2	3	1	6:3	9
გენიონი	6	2	3	1	6:4	9
ამიენი	6	2	3	1	7:6	9
გრენობლი	6	2	3	1	10:11	9
ლორიანი	6	3	0	3	8:9	9
კლერმონი	6	2	2	2	9:6	8
ანჟე	6	2	2	2	6:6	8
ლავალი	6	2	2	2	6:9	8
ნანსი	5	2	1	2	5:5	7
მონპელიე	6	2	1	3	6:7	7
შატორუ	6	1	3	2	6:7	6
ნიორი	6	2	0	4	6:8	6
ტრუა	5	1	1	3	9:11	4
კრეტეი	6	1	1	4	5:9	4
გენგამი	6	1	1	4	6:11	4

პორტუგალია

სუპერლიგა. II ტური

გიმარაეში 2:1 აკადემიკა
1:0 ტ. მორენო (4პ), 2:0 ელპიდიუ სილვა (21), 2:1 ლ. ფონსეკა (60)

გიმარაეში	2	1	1	0	2:1	4
სეტუბალი	1	1	0	0	4:1	3
ბელენენსეში	1	1	0	0	3:0	3
ბენფიკა	1	1	0	0	3:2	3
სპორტინგი	1	1	0	0	3:2	3
ბოავიშტა	1	1	0	0	1:0	3
ბრაგა	1	0	1	0	2:2	1
ეშტორილი	1	0	1	0	0:0	1
რიუ ავე	1	0	1	0	0:0	1
აკადემიკა	2	0	1	1	3:4	1
მორეირენსე	1	0	1	0	0:0	1
პორტუ	0	0	0	0	0:0	0
ლეირია	0	0	0	0	0:0	0
ბეირა მარი	1	0	0	1	2:3	0
ჟილ ვისენტე	1	0	0	1	2:3	0
ნასიონალი	1	0	0	1	0:1	0
პენაფიელი	1	0	0	1	1:4	0
მარიტიმუ	1	0	0	1	0:3	0

2006 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი
მრაველი. კოსტარიკაში

B ჯგუფი. II ტური

გვატემალა 2:1 კოსტა რიკა

გვატემალა	2	2	0	0	4:1	6
ჰონდურასი	2	1	1	0	6:3	4
კანადა	2	0	1	1	1:3	1
კოსტა რიკა	2	0	0	2	3:7	0

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

გვატემალა — კოსტა რიკა. მასპინძელ გილერ ორტეგას მაყრატელა

ორნი ქალაქში

ანდრეა პირლო დარწმუნებულია, რომ ამ სეზონში „მილანს“ სკუდეტოს მოგებაც ხელეწიფება და ჩემპიონთა ლიგისაც.

„ჩვენ სერია A-ს ფავორიტებად რომ მიგვიჩნევენ, აბსოლუტურად მართალია. იგივე ხდება ჩემპიონთა ლიგასთან დაკავშირებითაც: „მილანი“ ის გუნდია, რომელიც ნებისმიერი მოწინააღმდეგის დამარცხებას შეეცდება. ჩვენ ხომ გუნდიც გავაძლიერეთ და ზურგსაც წინა ორი დიდებული ჩემპიონატი გვიმაგრებს. ვიცით, რომ იოლად არაფერი მოვა, ვიცით, რომ ჩემპიონთა ლიგაში კონკურენტები გვეყოლება — „იუვენტუსი“, „ინტერი“ და „რეალი“ — მაგრამ ამას ჩვეულებრივ ამბად მივიჩნევთ.

ზეწოლა? ჩვენთვის ეს პრობლემა არ იქნება, ვინაიდან წარსულში უკვე დავამტკიცეთ, რომ რაგინდარა ძნელ სიტუაციას თავს ვართმევთ“.

გასულ სეზონში „შავ-წითლებმა“ სკუდეტო სავსებით დამაჯერებლად მოიგეს. ვინ იქნება წლეულს მათთვის ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე?

„ჩვენი ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე „იუვენტუსი“ იქნება — ამბობს პირლო — მასთან ერთად „ინტერი“ და „რომა“. ხოლო ზლატან იბრაჰიმოვიჩის და ფაბიო კანავაროს დამატებით „იუვენტუსი“ რომ გაძლიერდა, ამას დიდი მტკიცება არ უნდა.

ევროპაში კიდევ მეშინია „ჩელსის“, „არსენალის“ და ისევ „რეალის“, მაგრამ სანამ მათ შევხვდებით, ჯგუფი უნდა გავიაროთ, ჩვენი ჯგუფი კი ძნელი გასავლელია“.

შეგახსენებთ, რომ F ჯგუფში „მილანის“ გარდა არიან „ბარსელონი“, „სელტიკი“ და დონეცკის „შახტარი“.

ანდრეა პირლო

მაგრამ რამდენჯერაც უნდა ახსენონ „იუვე“ და „რეალი“, პირლოს და მის „მილანს“ უმთავრესი მოწინააღმდეგის ძებნა შორს არ სჭირდებათ, ის ქალაქშივე ჰყავთ — დაუძინებელი მტერი „ინტერი“.

„დღეს „ინტერი“ იმავე დონის გუნდია, რა დონისაც „მილანი“ გახლავთ — ამბობს „შავლურჯების“ ახალი მწვრთნელი რობერტო მანჩინი „კორიერე დელო სპორტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში — ერთადერთი განსხვავება ჩვენს შორის ის არის, რომ ჩვენ ბევრი რამ შევცვალეთ, მათ კი არა. დარწმუნებული ვარ ასევე, რომ ჩემპიონატში თავისი სიტყვა მწვრთნელშეცვლილ „იუვენტუსსაც“ ექნება სათქმელი“.

დასამალი რაა, რომ დღეს იტალიაში ბევრი სამი გუნდის ჩემპიონატს ელის — საუბარია „მილანზე“ „იუვენტუსზე“ და „ინტერზე“, მაგრამ მანჩინი არც „რომას“ გამორიცხავს.

„მათ რამდენიმე ძალიან საინტერესო ახალგაზრდა იყიდეს და ჩინებული გუნდი ჰყავთ“.

და მაინც, „სამპდორიას“ ყოფილი ვარსკვლავი ყველაზე მეტად თავისი გუნდით ყოფილა მოხიბლული, განსაკუთრებით შეტევაში.

„მწამს, მიუხედავად სტილთა მსგავსებისა, კრისტიან ვიერის და ადრიანოს ერთად თამაში შეუძლიათ — ამბობს მანჩინი — ბობო დიდი ძალაა, მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურად ჯერჯერობით მზად არაა. გარდა ამისა არის ბევრი ვარიანტი, იმავე ობაფემი მარტინისა და ალვარო რეკობას მონაწილეობით“.

მანჩოს იმედი აქვს, რომ მოახლოებულ ჩემპიონატში თავს გამოიჩენს „ჩელსიდან“ იტალიაში დაბრუნებული ხუან სებასტიან ვერონიც.

„ის ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია, რადგან მოედნის შუაში ფანტაზიას გვმატებს. გარდა ამისა ჩვენ გვყავს კრისტიანო ძანეტი და ედგარ დავიდსი, რაც იმას ნიშნავს, რომ სისტემის გამოცვლა არ დაგვჭირვებია“.

რობერტო მანჩინიმ თქვა, „მილანზე“ არანაკლები ჩემი „ინტერიაო“

პაპუნა კედია

ფეხბურთის რუკასთან

რუსულ „ალანიას“ მთავარი მწვრთნელი გაეცალა... ბესლანის ტრაგედიის გამო. ფრანგი როლან კურბისი პოსტიდან იმიტომ გადადგა, რომ: „ცოტა ხნის წინ თვითმფრინავების ჩამოვარდნამ ძალიან შემაშფოთა, ხოლო სკოლაში მომხდარმა ტერორისტულმა აქტმა საბოლოოდ შემაშინა. ამ სკოლიდან „ალანიას“ საწვრთნელ ბაზამდე მხოლოდ 15 კილომეტრია“ — თქვა კურბისმა. ამ უკანასკნელმა უკვე მიიღო წინადადებები სენეგალის ნაკრებიდან, „აიაჩოდან“ და „სენტ ეტიენიდან“.

ჰოლანდიელი მიხაელ რაიციგერის მხრის ტრავმა გაცილებით სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე თავიდან ვარაუდობდნენ. ახლა კი ცნობილია, „მიდლსბროს“ 31 წლის მცველს დაახლოებით 5-6 თვე მოუწევს უქმობა. „ექიმები აღშფოთდნენ ჩემი მხრის გაშუქების შემდეგ და გადაჭრით მითხრეს, ფეხბურთი კარგა ხნით უნდა დაივიწყოო. ასე რომ, არა მგონია, ახალ წლამდე მინდორზე გასვლა შევძლო“ — აღნიშნა „ბარსელონას“ ყოფილმა მოთამაშემ.

ჩეხეთის ნაკრების ნახევარმცველი კარელ პობორსკი 8 სექტემბერს ჰოლანდიის წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. ეს ჩეხებს ძალიან სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის, რადგანაც აქამდე უკვე ცნობილი იყო, რომ „ნარინჯისფრებთან“ მატჩს პაველ ნედვედი, ვლადიმირ შმიცერი და ტომაშ გალაშეკიც გამოტოვებდნენ. ვეტერან პობორსკის ზურგის ტრავმამ შეახსენა თავი.

ყაზახეთი პირველად მიიღებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპში მონაწილეობას. ნაკრები თავის სადებიუტო მატჩს 8 სექტემბერს უკრაინის წინააღმდეგ ალმატიში ჩაატარებს. იქაური ფეხბურთის მამები ფეხბურთელებს გამარჯვების შემთხვევაში სერიოზულ ფულად პრემიებს ჰპირდებიან, თუმც თანხას ჯერჯერობით არ აკონკრეტებენ. თავად მოთამაშეების თქმით, ეს უდავოდ დამატებით სტიმულს იძლევა, მაგრამ ისინი ფულზე ნაკლებად ფიქრობენ.

ჰოლანდიის ნაკრების თავკაც მარკო ვან ბასტენს ბუდევინ ზენდენის თამაში არ მოეწონა და ჩეხებთან მატჩში მის გამოძახებას არ აპირებს. ზენდენის ადგილს სავარაუდოდ ფეიენოორდელი რომეო კასტელენი დაიკავებს. გარდა ამისა, „ნარინჯისფრებს“ არაერთი ფეხბურთელი ჰყავთ, დაშავებული, თუმცა უილფრედ ბუმას, ნაიჯელ დე იონგის, ჯოვანი ვან ბრონკჰორსტის, ჯონი ჰეიტინგასა და კევინ ჰოფლანდის მომჯობინებას სწორედ ოთხშაბათისთვის ელიან.

რუმინული ფეხბურთის ვეტერანი ბოგდან სტელია სამშობლოში დაბრუნდა. როგორც იცით, 37 წლის გოლკიპერი ბოლო წლებში ესპანური „სალამანკას“ კარს იცავდა, მაგრამ კლუბმა მასთან კონტრაქტი გაწყვიტა. მეკარემ საბოლოოდ თავის ყოფილ გუნდს, ბუქარესტის „დინამოს“ მიაშურა და ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

ინგლისური „ლივერპულის“ ახალწვეული ლუის გარსია მაიკლ ოუენის ყოფილ 10-ნომრიან მაისურას მოირგებს. ამის შესახებ კომენტარი უკვე თავად შემტევმა ნახევარმცველმა გააკეთა: „კარგად მესმის, რას ნიშნავს ეს მაისურა კლუბის ქომაგებისთვის და ყველანაირად ვეცდები მათი იმედები გავამართლო. „ლივერპულთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გავაფორმე, თუმცა მინდა, რომ აქ კიდევ უფრო მეტ ხანს დავრჩე“.

იტალიური „რომა“ ანტონიო კასანოსთან აგრძელებს მოლაპარაკებებს და შესაძლოა, დაითანხმოს კიდეც ახალგაზრდა ფეხბურთელი კონტრაქტის გახანგრძლივებაზე. მოქმედი ხელშეკრულებით, კასანომ 2006 წლამდე უნდა ითამაშოს „სტადიო ოლიმპიკოზე“, დედაქალაქელებს კი სურთ, ეს ვადა კიდევ ხუთი წლით გადასწიონ.

სარგებელი კროკი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა. V ტური						
		11 სექტემბერი						
15.45	025	ასტონ ვილა-ჩელსი	3,5	3,3	1,95	1,69	1,25	1,22
18.00	026	ბოლტონი-მანჩესტერი	3,6	3,3	1,9	1,72	1,24	1,2
18.00	027	ფულემი-არსენალი	5,6	3,4	1,6	2,11	1,24	1,08
18.00	028	ლივერპული- ვესტ ბრომვიჩი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
18.00	029	სიტი-ევერტონი	1,9	3,2	3,8	1,19	1,26	1,73
18.00	030	მიდლსბრო-ბირმინგემი	1,85	3,2	4,0	1,17	1,26	1,77
18.00	031	ნიუკასლი-ბლექბერნი	1,65	3,4	5,0	1,11	1,24	2,02
20.15	032	პორტსმუთი-კრისტალ პალასი	1,65	3,4	5,0	1,11	1,24	2,02
		12 სექტემბერი						
19.05	033	ტოტენჰემი-ნორვიჩი	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21
		13 სექტემბერი						
23.00	034	ჩარლტონი-საუთჰემპტონი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
		გერმანია. ბუნდესლიგა. IV ტური						
		11 სექტემბერი						
17.30	035	მიონხენგლადბახი-ვერდერი	3,1	3,2	2,2	1,57	1,28	1,3
17.30	036	ვოლფსბურგი-შალკე	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54
17.30	037	შტუტგარტი-ჰამბურგი	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
17.30	038	მაინცი-ლევერკუზენი	3,5	3,3	1,95	1,69	1,25	1,22
17.30	039	ბაიერნი-არმინია	1,2	5,6	11,0	1	1,08	3,71
17.30	040	ბოხუმი-დორტმუნდი	2,45	3,2	2,6	1,38	1,26	1,43
17.30	041	ნიურნბერგი-ჰერტა	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
		12 სექტემბერი						
19.30	042	ჰანოვერი-ფრაიბურგი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
19.30	043	ჰანზა-კაიზერსლაუტერნი	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76
		გერმანია. II ბუნდესლიგა. IV ტური						
		10 სექტემბერი						
21.00	181	ბურგჰაუზენი-ზაარბრიუკენი	1,65	3,4	4,8	1,11	1,22	1,99
21.00	182	კოტბუსი-ობერჰაუზენი	1,8	3,2	4,0	1,15	1,24	1,77
21.00	183	აინტრახტი-დინამო	1,55	3,5	5,6	1,07	1,21	2,15
		12 სექტემბერი						
17.00	184	უნტერჰახინგი-ალემანია	2,2	3,2	3,0	1,3	1,26	1,54
17.00	185	კარლსრუე-კიოლნი	2,7	3,2	2,35	1,46	1,25	1,35
17.00	186	დუისბურგი-ესენი	1,65	3,4	4,8	1,11	1,22	1,99
17.00	187	ტრირი-ფიურტი	2,35	3,2	2,7	1,35	1,25	1,46
17.00	188	აუე-ალენი	1,7	3,4	4,4	1,13	1,22	1,91
		13 სექტემბერი						
22.15	189	ერფურტი-მიუნხენი	2,5	3,2	2,45	1,4	1,23	1,38
		გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). VIII ტური						
		7 სექტემბერი						
21.30	192	ბრაუნშვაიგი-ვოლფსბურგი(მ)	1,4	4,0	6,5	1,03	1,15	2,47
		გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). VI ტური						
		10 სექტემბერი						
21.30	202	ზიგენი-კობლენცი	1,9	3,2	3,5	1,19	1,23	1,67
		11 სექტემბერი						
16.30	203	დარმშტადი-ვეენი	2,0	3,2	3,3	1,23	1,24	1,62
		იტალია. სერია A. I ტური						
		11 სექტემბერი						
21.00	044	კიევო-ინტერი	4,6	3,2	1,75	1,88	1,26	1,13
22.30	045	მილანი-ლივორნო	1,15	6,0	14,0	1	1,06	4,19
		12 სექტემბერი						
17.00	046	ატალანტა-ლეჩე	2,0	3,0	3,8	1,2	1,31	1,67
17.00	047	ბრეშა-იუვენტუსი	4,2	3,2	1,8	1,81	1,26	1,15
17.00	048	კალიარი-ბოლონია	2,3	2,9	3,2	1,28	1,33	1,52
17.00	049	პალერმო-სიენა	1,75	3,0	5,0	1,1	1,29	1,87
17.00	050	პარმა-მესინა	1,5	3,5	7,0	1,04	1,23	2,33
17.00	051	რეჯინა-უდინეზე	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
17.00	052	რომა-ფიორენტინა	1,65	3,2	5,6	1,08	1,27	2,03
17.00	053	სამპდორია-ლაციო	2,1	3,1	3,4	1,25	1,29	1,62
		ესპანეთი. I დივიზიონი. II ტური						
		11 სექტემბერი						
20.00	054	ბილბაო-ვალენსია	2,9	3,1	2,35	1,49	1,29	1,33
22.00	055	ბარსელონა-სევილია	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
22.00	056	რეალი-ნუმანსია	1,15	6,0	14,0	1	1,06	4,19
		12 სექტემბერი						
20.00	057	დეპორტივო-ოსასუნა	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
21.30	058	ბეტისი-ესპანიოლი	1,9	3,2	3,8	1,19	1,26	1,73
21.30	059	ხეტაფე-მალიორკა	2,4	3,1	2,8	1,35	1,29	1,47
21.30	060	ლევანტე-რასინგი	2,2	3,1	3,2	1,28	1,3	1,57
21.30	061	მალაგა-სარაგოსა	2,2	3,1	3,2	1,28	1,3	1,57
21.30	062	ვილიარეალი-სოსიედადი	1,8	3,1	4,4	1,13	1,27	1,81
23.30	063	ალბასეტე-ატლეტიკო	2,6	3,1	2,5	1,41	1,27	1,38
		საფრანგეთი. I დივიზიონი. V ტური						
		11 სექტემბერი						
19.15	253	ბასტია-ოსერი	2,4	3,1	2,8	1,35	1,29	1,47
22.00	254	კაენი-ლანსი	2,6	3,1	2,5	1,41	1,27	1,38
22.00	255	ისტრი-პსუ	3,4	3,2	2,05	1,64	1,27	1,24
22.00	256	ლილი-ნიცა	1,9	3,1	4,0	1,17	1,28	1,74
22.00	257	მეცი-ბორდო	2,25	3,1	3,1	1,3	1,3	1,55
22.00	258	მონაკო-სტრასბური	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
22.00	259	რენი-ლიონი	2,7	3,1	2,45	1,44	1,28	1,36
22.00	260	სტ.ეტიენი-ნანტი	2,3	3,1	3,0	1,32	1,3	1,52
22.00	261	ტულუზი-აიაჩო	1,75	3,2	4,6	1,13	1,26	1,88
		12 სექტემბერი						
23.00	262	სოშო-მარსელი	2,45	3,1	2,7	1,36	1,28	1,44
		პორტუგალია. სუპერლიგა. II ტური						
		10 სექტემბერი						
00.30	277	ჟილ ვისენტე-ბოავიშტა	2,5	3,1	2,6	1,38	1,27	1,41
		11 სექტემბერი						
19.00	278	მარიტიმუ-პენაფიელი	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21
21.00	279	ლეირია-ეშტორილი	1,6	3,4	5,6	1,08	1,24	2,11
22.15	280	ბრაგა-პორტუ	4,4	3,3	1,75	1,88	1,25	1,14
00.15	281	ბენფიკა-მორეირენსე	1,22	5,3	11,0	1	1,09	3,57
		12 სექტემბერი						
19.00	282	ნასიონალი-ბეირა მარი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
22.30	283	სეტუბალი-სპორტინგი	3,8	3,3	1,85	1,76	1,24	1,18
		13 სექტემბერი						
23.30	284	რიუ ავე-ბელენენსეში	1,9	3,2	3,8	1,19	1,26	1,73
		ჰოლანდია. I დივიზიონი. IV ტური						
		10 სექტემბერი						
22.00	298	ალკმაარი-დენ ბოსხი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
		11 სექტემბერი						
20.00	299	დენ ჰაგი-აიაქსი	6,5	4,0	1,45	2,47	1,18	1,06
21.30	300	ჰერენვენი-გრაფსხაპი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
21.30	301	პსვ-ვალვაიკი	1,22	5,3	11,0	1	1,09	3,57
21.30	302	როზენდალი-ვიტესი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
		12 სექტემბერი						
16.30	303	ფეიენოორდი-ტვენტე	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
16.30	304	გრონინგენი-ბრედა	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54
16.30	305	უტრეხტი-ნაიმეგენი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
16.30	306	ტილბურგი-როდა	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54
		ბელგია. I დივიზიონი. V ტური						
		11 სექტემბერი						
22.00	320	ოსტენდე-ანდერლეხტი	6,0	3,8	1,5	2,32	1,2	1,07
22.00	321	ბრიუსელი-ვესტერლო	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაიზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.00	322	შარლერუა-ბრიუგე	5,6	3,6	1,55	2,19	1,21	1,08
22.00	323	გენტი-სტ.ტრუიდენი	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
22.00	324	ლიერსი-მონსი	1,75	3,2	4,6	1,13	1,26	1,88
		12 სექტემბერი						
17.00	325	სერკლი-ბეერსხოტი	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49
17.00	326	მუსკრონი-ბევერენი	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
17.00	327	ლოკერენი-ლუვენ	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
22.00	328	გენკი-სტანდარდი	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
		ავსტრია. ბუნდესლიგა. VII ტური						
		11 სექტემბერი						
20.00	342	ბრეგენცი-მატერსბურგი	2,1	3,2	3,2	1,26	1,26	1,6
20.00	343	რაპიდი-ადმირა	1,65	3,4	4,8	1,11	1,22	1,99
20.00	344	ზალცბურგი-შტურმი	1,9	3,2	3,6	1,19	1,24	1,69
20.00	345	ტიროლი-პაშინგი	2,25	3,2	2,9	1,32	1,26	1,52
		12 სექტემბერი						
17.30	346	გრაცერი-აუსტრია	2,25	3,2	2,9	1,32	1,26	1,52
		შვეიცარია. სუპერლიგა. VIII ტური						
		11 სექტემბერი						
21.30	354	აარაუ-სტ.გალენი	2,15	3,2	3,1	1,28	1,26	1,57
21.30	355	სერვეტი-შაფჰაუზენი	1,65	3,4	4,8	1,11	1,22	1,99
21.30	356	თუნი-ლსამაქსი	1,75	3,3	4,2	1,14	1,23	1,84
21.30	357	ციურიხი-იანგ ბოიზი	2,3	3,2	2,8	1,33	1,26	1,49
		12 სექტემბერი						
18.15	358	ბაზელი-გრასჰოპერი	1,65	3,4	4,8	1,11	1,22	1,99
		ნორვეგია. ტიპელიგა. XX ტური						
		11 სექტემბერი						
21.00	402	რუსენბორგი-ვოლერენგა	1,5	3,5	6,5	1,04	1,21	2,27
		12 სექტემბერი						
20.00	403	ვიკინგი-სოგნდალი	1,75	3,3	4,2	1,14	1,23	1,84
20.00	404	ფრედრიკსტადი-ჰამარი	2,5	3,1	2,5	1,38	1,25	1,38
20.00	405	ლინი-ჰოდიო გლიმტი	2,05	3,3	3,2	1,26	1,24	1,62
20.00	406	მოლდე-ტრომსიო	2,5	3,2	2,45	1,4	1,23	1,38
22.15	407	ლილესტრიომი-ოდ გრენლანდი	1,7	3,3	4,6	1,12	1,24	1,92
		13 სექტემბერი						
21.00	408	ბრანი-სტაბეკი	1,7	3,4	4,4	1,13	1,22	1,91
		ნორვეგია. I დივიზიონი. XXII ტური						
		12 სექტემბერი						
18.00	410	ალესუნდი-რაუფოსი	1,35	4,6	6,0	1,04	1,1	2,6
18.00	411	ჰაუგესუნდი-ტრომსდალენი	1,35	4,4	6,5	1,03	1,11	2,62
18.00	412	ჰიონეფოსი-სანდეფიორდი	2,5	3,8	2,15	1,5	1,15	1,37
18.00	413	კონგსვინგერი-ვარდ ჰაუგესუნდი	1,35	4,6	6,0	1,04	1,1	2,6
18.00	414	მოსი-პორს გრენლანდი	1,65	4,0	3,8	1,16	1,15	1,94
18.00	415	სკეიდი-ჰიოდი	2,0	3,8	2,8	1,31	1,16	1,61
18.00	416	სტარტი-ბრინი	1,45	4,0	5,6	1,06	1,15	2,33
18.00	417	სტრიომსგოდსეტი-მანდალი	2,0	3,8	2,8	1,31	1,16	1,61
		ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XXIII ტური						
		9 სექტემბერი						
19.00	419	ვაზი-როვანიემი	2,05	3,2	3,2	1,24	1,24	1,6
19.30	420	ჰაამეენლინა-ალიანსი	4,2	3,4	1,7	1,87	1,21	1,13
19.30	421	იარო-ტურკუ	2,5	3,2	2,4	1,4	1,22	1,37
19.30	422	მიუპა-ინტერი	1,9	3,2	3,5	1,19	1,23	1,67

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		10 სექტემბერი						
20.00	423	ჰაკა-ჰიკ	1,65	3,3	4,8	1,23	1,05	
		თურქეთი. სუპერლიგა. V ტური						
		11 სექტემბერი						
17.00	439	სებათი-ფენერბაჰჩე	6,5	4,0	1,4	2,47	1,15	1,03
20.00	440	დენიზლი-ტრაბზონი	2,6	3,3	2,3	1,45	1,22	1,35
20.00	441	გენჩლერბირლიგი-დიარბაქირი	1,7	3,4	4,2	1,13	1,21	1,87
20.00	442	გაზიანთეფი-ანკარა	1,6	3,4	5,0	1,08	1,21	2,02
		12 სექტემბერი						
17.00	443	ისთანბული-რიზე	2,1	3,2	3,1	1,26	1,25	1,57
18.30	444	საკარია-ბეშიქთაში	4,6	3,6	1,6	2,01	1,18	1,1
20.00	445	მალათია-ანკარაგიუჯიუ	1,9	3,2	3,5	1,19	1,23	1,67
20.00	446	კაისერი-კონია	2,2	3,2	2,9	1,3	1,25	1,52
21.00	447	გალათასარაი-სამსუნი	1,25	4,6	9,0	1	1,09	3,04
		ინგლისი. ლიგის თასი. I ეტაპი						
		7 სექტემბერი						
23.00	605	ბოსტონი-ლუტონი	2,9	3,2	2,2	1,52	1,25	1,3
		იტალია. თასი. I ეტაპი						
		7 სექტემბერი						
22.30	607	ტერნანა-პესკარა	1,5	3,5	5,6	1,04	1,18	2,15
		მჩ შესარჩევი მატჩები						
		8 სექტემბერი						
18.00	001	ყაზახეთი-უკრაინა	8,0	4,2	1,35	2,75	1,15	1,02
20.00	002	საქართველო-ალბანეთი	1,55	3,5	5,0	1,07	1,18	2,05
20.00	003	სომხეთი-ფინეთი	4,0	3,3	1,8	1,8	1,24	1,16
20.00	004	ლიტვა-სან მარინო	1,05	8,0	20,0	1	1	5,71
20.00	005	ფარერები-საფრანგეთი	25,0	9,0	1,03	6,61	1	1
20.30	006	ისრაელი-კვიპროსი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
21.00	007	ანდორა-რუმინეთი	30,0	9,0	1,03	6,92	1	1
22.00	008	ლუქსემბურგი-ლატვია	15,0	6,5	1,1	4,53	1,02	1
22.00	009	ნორვეგია-ბელარუსი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
22.15	010	სლოვაკეთი-ლიხტენშტაინი	1,02	9,0	35,0	1	1	7,15
22.15	011	შვედეთი-ხორვატია	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
22.15	012	ბოსნია-ესპანეთი	6,5	3,6	1,5	2,31	1,21	1,05
22.15	013	უნგრეთი-ისლანდია	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
22.30	014	ჰოლანდია-ჩეხეთი	1,85	3,2	4,0	1,17	1,26	1,77
22.30	015	შვეიცარია-ირლანდია	2,2	3,1	3,2	1,28	1,3	1,57
22.30	016	პოლონეთი-ინგლისი	4,4	3,3	1,75	1,88	1,25	1,14
22.30	017	ავსტრია-ზერბაიჯანი	1,15	6,0	14,0	1	1,06	4,19
22.45	018	მოლდოვა-იტალია	11,0	5,3	1,2	3,57	1,08	1
22.45	019	საბერძნეთი-თურქეთი	1,9	3,2	3,8	1,19	1,26	1,73
23.00	020	შოტლანდია-სლოვენია	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49
23.00	021	უელსი-ჩრდ.ირლანდია	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
00.15	022	პორტუგალია-ესტონეთი	1,06	7,0	17,0	1	1	4,95
		ამხანაგური მატჩები						
		8 სექტემბერი						
22.45	610	გერმანია-ბრაზილია	2,8	3,1	2,3	1,47	1,26	1,32
		ჰოკეი. რუსეთი						
		7 სექტემბერი						
17.30	1001	ლადა-ს.იულაევი	1,3	5,6	5,0	1,05	1,03	2,64
19.00	1002	ცსკა-მოლოტი	1,25	6,0	5,6	1,03	1,02	2,89

ეროვნული ბიბლიოთეკა

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
5011	შვედეთი-ხორვატია	2,2	2,1	4,8	1,07	1,5	1,46
5014	ჰოლანდია-ჩეხეთი	2,35	2,05	4,4	1,09	1,53	1,39
5015	შვეიცარია-ირლანდია	2,7	2,05	3,5	1,16	1,52	1,29
5016	პოლონეთი-ინგლისი	4,6	2,1	2,25	1,44	1,51	1,08
5019	საბერძნეთი-თურქეთი	2,4	2,05	4,2	1,1	1,52	1,37
5020	შოტლანდია-სლოვენია	2,8	2,05	3,4	1,18	1,53	1,27
5021	უელსი-ჩრდ.ირლანდია	1,6	2,8	6,5	1,01	1,28	1,95

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შესაძლო ვარიანტად ჩაითვლება)

5411	შვედეთი-ხორვატია	1,6	2,4
5414	ჰოლანდია-ჩეხეთი	1,7	2,2
5415	შვეიცარია-ირლანდია	1,8	2,0
5416	პოლონეთი-ინგლისი	2,3	1,65
5419	საბერძნეთი-თურქეთი	1,7	2,2
5420	შოტლანდია-სლოვენია	1,9	1,9
5421	უელსი-ჩრდ.ირლანდია	1,3	4,0

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
5111	შვედეთი-ხორვატია	2,5	10,0	20,0	3,5	4,4	8,0	20,0	10,0	7,0
5114	ჰოლანდია-ჩეხეთი	2,7	10,0	20,0	3,8	4,4	7,0	20,0	10,0	6,5
5115	შვეიცარია-ირლანდია	3,3	10,0	20,0	4,4	4,4	5,6	20,0	10,0	4,8
5116	პოლონეთი-ინგლისი	7,0	10,0	20,0	8,0	4,4	3,5	20,0	10,0	2,5
5119	საბერძნეთი-თურქეთი	2,8	10,0	20,0	3,8	4,4	7,0	20,0	10,0	6,0
5120	შოტლანდია-სლოვენია	3,5	10,0	20,0	4,4	4,4	5,0	20,0	10,0	4,2
5121	უელსი-ჩრდ.ირლანდია	1,8	12,0	30,0	3,5	5,0	12,0	20,0	12,0	12,0

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
5511	შვედეთი-ხორვატია	3,0	2,8	2,0
5514	ჰოლანდია-ჩეხეთი	3,0	2,8	2,0
5515	შვეიცარია-ირლანდია	3,0	2,8	2,0
5516	პოლონეთი-ინგლისი	3,0	2,8	2,0
5519	საბერძნეთი-თურქეთი	3,0	2,8	2,0
5520	შოტლანდია-სლოვენია	3,0	2,8	2,0
5521	უელსი-ჩრდ.ირლანდია	3,0	2,8	2,0

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
5311	შვედეთი-ხორვატია	1,7	1,9
5314	ჰოლანდია-ჩეხეთი	1,7	1,9
5315	შვეიცარია-ირლანდია	1,7	1,9
5316	პოლონეთი-ინგლისი	1,7	1,9
5319	საბერძნეთი-თურქეთი	1,7	1,9
5320	შოტლანდია-სლოვენია	1,7	1,9
5321	უელსი-ჩრდ.ირლანდია	1,85	1,75

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

5211	შვედეთი-ხორვატია	1,7	1,9
5214	ჰოლანდია-ჩეხეთი	1,7	1,9
5215	შვეიცარია-ირლანდია	1,7	1,9
5216	პოლონეთი-ინგლისი	1,75	1,85
5219	საბერძნეთი-თურქეთი	1,65	1,95
5220	შოტლანდია-სლოვენია	1,7	1,9
5221	უელსი-ჩრდ.ირლანდია	1,85	1,75

სიხარული მესამე



ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ასანიძე

გიორგი ასანიძისგან ათენში ჩემპიონობას ბევრნი არ ველოდით. აბა, როგორ უნდა ვყოფილიყავით იმედიანად, როცა სიდნეის ოლიმპიური თამაშების მერე კაცი მხარ-ხელის გაუთავებელი ტრავმებისა და ოპერაციების მერე წლევანდლამდე შეჯიბრებებზე არც გამოსულა, მაგრამ მხარ-ხელაწყობილმა გიორგიმ საიდანღაც გამონახა ფიზიკური ძალაც, ენერგიაც, სულის სიმტკიცეც და გაიმარჯვა. იგი არც სიდნეის ოლიმპიადაზე დამარცხებულა ვინმესთან, როცა სამივე პრიზიორმა ერთნაირი წონა დასძლია, გიორგიმ კი „ბრინჯაო“ მოიპოვა. „უბრალოდ“, მაშინ გიორგი ასანიძე პირველ-მეორე ადგილებზე გასულებთან შედარებით რამდენიმე გრამით მძიმე აღმოჩნდა. ახლა საქმე პირად წონამდე აღარ მი'სულა, გიორგი ასანიძე ოლიმპიური ჩემპიონია!

ასანიძე გახდა დამოუკიდებელი საქართველოს რიგით მეორე, ქართული სპორტის ისტორიაში კი 30-ე სპორტსმენი, ვინც ჩვენს ყულაბას „ოქრო“ შემატა.

ახლა, როცა შენი გამარჯვებიდან რამდენიმე დღე გავიდა, [illegible]ერას გრძნობ-მეთქი, ვკით[illegible]ე უკვე ათენის აეროპორტში გიორგი ასანიძეს, რომელსაც სწო[illegible]რედ იმ დღეს დაბადების დღე ჰქონდა.

— ვიცი, რომ ოლი[illegible]პიური ჩემპიონობა განსაკუთრებულია, ვიცი, რომ უდი[illegible]ღეს წარმატებას მივაღწიე, მაგრამ შესაბამისი განსაკ[illegible]თრებული გრძნობა არ მაქვს. ოლიმპიადაზე ისე გამ[illegible]ვდიოდი, როგორც ერთ ჩვეულებრივ შეჯიბრებაზე. ახლაც [illegible]ასეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ჩვეულებრივ შეჯიბრებაში [illegible] გავიმარჯვე. ეტყობა, სიხარული მერე მოვა, თუმცა, იმას[illegible] კი ვაცნობიერებ, რაც მოხდა...

და ამ დროს გიორგ[illegible]ი ასანიძის ოქროს მედალმა ბევრს ცრემლი მოსწყვიტა, [illegible]სიხარულით გადარია და ღამე გაათენებინა. ამიტომაც ი[illegible]ყო, ათენში გამარჯვებისთანავე გამართულ ტრადიციულ[illegible] პრესკონფერენციაზე გიორგი ასანიძის მობილურზე გ[illegible]უთავებლად ზარი რომ გაისმოდა. პირველად თავისი მშ[illegible]ობლიური საჩხერიდან დარეკეს. გუშინწინ კი სწორედ მ[illegible]თელი საჩხერე შეეგება ოლიმპიურ ჩემპიონს და მეფური [illegible]დახვედრა მოუწყო.

ავთანდილ გურასაშვილი

ავტორის ფოტოები





ᲐᲮᲛᲔᲢᲐᲨᲘ ᲒᲐᲕᲨᲚᲘ ᲢᲐᲢᲘᲡᲐᲛᲘ

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲖᲕᲘᲐᲓᲐᲣᲠᲡ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘ ᲩᲐᲣᲕᲐᲠᲢᲐ

დამოუკიდებელ საქარ[illegible] ᲧᲕᲔᲚᲝᲡᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ოლიმპიური ჩემ[illegible]ᲞᲘᲝᲜᲘ ზურაბ ზვიადაური ათენიდ[illegible]ᲜᲘᲡ დაბრუნების შემდეგ საინტერვი[illegible]ᲣᲔᲓ ᲕᲔᲠᲐᲤᲠᲘᲗ მოვიხელთეთ. რედ[illegible]ᲐᲥᲪᲘᲘᲡᲙᲔᲜ მომავალი რამდენჯერმე [illegible]ᲪᲮᲕᲘᲠᲜᲘᲜ აგვაცალეს და ხან კახეთ[illegible]ᲘᲡᲐ თუ ხევსურეთისკენ გააქანეს, [illegible]ᲮᲐᲜᲐᲪ ᲕᲘᲜ იცის, საით. ყოველ შემდ[illegible]ᲔᲒ შეხმიანებაზე ალალად შეწუხებ[illegible]ᲣᲚᲘ ᲮᲛᲘᲗ იბოდიშებდა, არ იფიქრო[illegible], ჩემპიონობით გავყოყოჩდი და თ[illegible]ᲐᲕᲘ ᲕᲘᲤᲐᲡᲔᲑᲝ. შეხვედრა კი მაინ[illegible]Ც ᲕᲔᲠᲐᲤᲠᲘᲗ ხერხდებოდა. კახეთ[illegible] მოვლილი გუშინწინ საჩხერეში ასანი[illegible]ᲫᲔᲡ ᲔᲡᲢᲣᲛᲠᲐ და ვიფიქრეთ. ერთ-ორ[illegible]ᲓᲦᲔᲡ კიდევ არაფერი გამოვიდოდ[illegible]Ა, მაგრამ განდიდების მანია რომ მარ[illegible]ᲗᲚᲐ არ შეჰყრია და არც შეეყრება[illegible], გუშინ დავრწმუნდით. სხვა მ[illegible]ᲡᲐᲚᲐ ზე მიმავალს უეცრად რ[illegible]ᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲓᲐᲜ შემეხმიანა, რა[illegible]Ს შვრები, სამსახურში აღარ[illegible] მოდიხარო? სხვა საქმე ვი[illegible]ᲚᲐᲡ ახსოვდა, ამხელა კაცი მელოდა...

— ჩამოსვლის დღიდან ხელიდან ხელში გადადიხარ, ხომ არ გადაიღალე?

— ყურადღება ძალიან სასიამოვნოა. სიმართლე გითხრა, მართლა დავიღალე, მაგრამ არ მინდა, ეს ხალხს ვაგრძნობინო. ვცდილობ, ყველას გავუღიმო და ამით ვუთხრა, რომ ოლიმპიური ჩემპიონობა თავში არ ამვარდნია. ჯერჯერობით ვახერხებ და იმედია, ბოლომდე ღირსეულად დავიჭერ თავს.

— სუფრასთანაც ხშირი შეხება გექნება. ბოლომდე მოლხენის უფლება ხომ არ მიეცი თავს?

— ეს გაჩემპიონების მეორე დღესვე გავაკეთე. ათენში მცხოვრებმა ერთმა ქართველმა გოგონამ გაშალა სუფრა და მეც თავი არ დამიზოგავს, მამაპაპურად მოვულხინე.

— ჩემპიონობა ბევრ ახალ ნაცნობ-მეგობარსაც შეგძენდა...

— დაუჯერებელი და შეუფასებელია ის სითბო, რასაც საქართველოში ჩამოსვლის დღიდან თითოეული შემოხედვით ვგრძნობ. ასეთი სიყვარული თუ შეიძლებოდა, ცოტა ხნის წინ ვერც კი წარმოვიდგენდი. სადაც ვარ, ყველგან უდიდეს პატივისცემას და სიახლოვის სურვილს ვგრძნობ და რაც შემიძლია, ვცდილობ, გული არავის დავწყვიტო.

— ბევრი საჩუქრის მიღება მოასწარი?

— საკმაოდ ბევრის. სულ პატარა და უმნიშვნელო საჩუქარსაც კი ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩემთვის და სათუთად ვინახავ. საერთოდ კი საჩუქრები ათენში წასვლამდეც ბლომად მივიღე. განსაკუთრებით მეუფე გერასიმეს ნაჩუქარი ჯვარი და წმინდა სანთლები დამეხმარა გამარჯვებაში.

— შენმა პირველმა მწვრთნელმა გუგული აბრამიშვილმა გვითხრა, ზვიადაურის ოქრო მისი ნიჭის და, რაც მთავარია, ღმერთის წყალობით მივიღეთო...

— ღვთის რწმენა მართლა ძალიან დამეხმარა. ათენამდე წირვა-ლოცვებზე ხშირად დავდიოდი და ღმერთს გამარჯვებას შევთხოვდი. ასევე იქცეოდა ყველა ჩემი ახლობელი და ღმერთმაც შეისმინა ჩვენი ვედრება. მეუფე გერასიმეს მიერ ნაჩუქარ სანთლებს საბერძნეთში ყოველდღე ვანთებდი და ლოცვებსაც ვკითხულობდი.

— ქართული ჰიმნის აჟღერების წუთებიდან დღემდე ყველაზე კარგად რა დაგამახსოვრდა?

— თითქმის ყოველი წუთი განსაკუთრებულია, თუმც ამ დღეებში ისეთი ისტორია შემემთხვა, მანამდე განცდილი ბედნიერი წუთები გადაწონა. ვაჟაობის აღსანიშნავად მეგობრები ხევსურეთში წავედით. უკვე საკმაოდ მაღალ კლდეზე ვიყავით, ხევში ნახევრად გადაკიდებული ახალგაზრდა კაცი რომ შევნიშნეთ. მივცვივდით და ჩაჩეხვას გადავარჩინეთ. ცხენს გადმოეგდო და გვთხოვა, მომეხმარეთ, ცხენს დამაწიეთო. მანქანაში ჩავისვით, ცოტა ხანში გვკითხა, ვინ ხართ, აქეთ რამ ამოგიყვანათო. რომ გაიგო მოჭიდაველები ვიყავით, ზვიადაურს თუ იცნობთო — გვკითხა. ერთმა მეგობარმა ჩემზე ანიშნა, აბა, ამას დააკვირდიო. ცოტა ხანს მიყურა და კინაღამ გაგიჟდა, იმ ცხენს ვენაცვალე, მე რომ გადმომაგდო, სადაც უნდა იქ წავიდეს, თქვენ კი ჩემთან უნდა წამოხვიდეთო.

— ჩამოსვლის მერე სავარჯიშოდ თუ მოიცალე?

— ერთხელ მოვახერხე დარბაზში მისვლა და ფიზიკურად წავარჯიშება, მერე ცოტა ფეხბურთიც წავითამაშე, მაგრამ აშკარად შევატყვე თავს, რომ რეჟიმიდან ვარ ამოვარდნილი.

— ეგ არაფერი, სეზონი ხომ უკვე ჩაამთავრე.

— სანაკრებო სეზონი დავასრულე. ახლა საკლუბო ჭიდაობები მიწევს. ოქტომბერში გერმანიაში ჩავალ და „აბენსბერგთან“ ერთად ევროპის საკლუბო ჩემპიონატის ნახევარფინალისა და ფინალისთვის მოვემზადები. ნახევარფინალში ქართველი ძიუდოისტებით გადატენილ თურქულ კლუბს შევხვდებით და ალბათ მინდია ბოდაველთან მომიწევს დაჭიდება. ფინალში კი, თუ სანქტ პეტერბურგის „იავარა ნევამ“ ჰოლანდიელებს სძლია, ათენში დამარცხებულ ტაოვთან ისევ მომიწევს ბრძოლა.

— ათენისშემდგომ სიხარულს მივუბრუნდეთ. მშობლიურ ახმეტაში როგორი დახვედრა მოგიწყვეს?

— იქ ისე ჩავედი, წინასწარ ბევრმა არ იცოდა. ამიტომ ორგანიზებული შეხვედრა არ ყოფილა. სითბო და მოფერება კი, რა თქმა უნდა, განსაკუთრებულად მაგრძნობინეს. ხელში ამიტაცეს და ჩემს პირველ საჭიდაო დარბაზში ისე შემიყვანეს. მერე ფინალისშემდგომი ახმეტური ამბებიც დაწვრილებით გავიგე. ზოგს ჩემს ჭიდაობაზე თურმე გულიც შესწუხებია.

— ახმეტის დიდი დელეგაცია აეროპორტშიც გელოდა, მაგრამ მათთან ვერ გამოხვედი...

— იქ მარტო ახმეტელები როდი იყვნენ. ჩემი ნება რომ ყოფილიყო, პირველ რიგში აეროპორტში შეკრებილი ხალხის სანახვად გავიდოდი, მაგრამ აბა, ესკორტს ვინ ჩამომაცილებდა. არადა, იმ ხალხიდან ბევრი თავისუფლების მოედანზე აღარც მოსულა. ზოგმა ეს ვერ შეძლო, ზოგმა კი პირდაპირ რესტორანს მიაშურა.

— უკვე ბევრგან თქვი, მაგრამ მოდი, ერთხელაც გაიხსენე ოლიმპიური ოქროსკენ მიმავალი გზა.

— ჩემპიონობაზე ჯერ კიდევ ათენში გამგზავრებამდე ვფიქრობდი, მაგრამ ამაზე დუმილს ვამჯობინებდი. უფრო ჩემი ბიძაშვილის, ჯარჯი ზვიადაურის შანსზე ვლაპარაკობდი. მის ოქროში თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი და რომ გამიმართლა, დამატებითი სტიმული მომცა. მანამდე გამარჯვების სურვილი ნესტორის ვერცხლმა გამიათამაგა.

— მაინც როდის ირწმუნე, რომ ოქროს აღებას შეძლებდი?

— მეოთხედფინალის მოგების შემდეგ. ფრანგი დემონფოკო ჯერ ისედაც უხერხული მეტოქე იყო ჩემთვის და განსაკუთრებით მაშინ ავნერვიულდი, ბრძოლის წინ დასვენება რომ ვერ მოვასწარი. რუს ტაოვს ოთხ წუთში მოვუგე, დარბაზიდან გავედი და ის იყო დასასვენებლად უნდა დავმჯდარიყავი, რომ დემონფოკოს წინააღმდეგ საჭიდაოდ მიხმეს. ფეხზე ძლივს ვიდექი. ვიდეოჩანაწერზეც მშვენივრად ჩანს, როგორ ვისვენებ ყველა შესაძლო მომენტში. ერთხელაც ხალიჩის გარეთ რომ წამოვწექი, ხაბარელი კინაღამ გაგიჟდა, არიქა, ეხლავე ადექიო. საცოდავი თვალებით გავხედე, დიმიტრიჩ, ცოტა ხანს მაცალე-მეთქი. უმძიმესი ბრძოლა იყო, რამდენჯერმე გადავრჩი, ბოლოს კი მთელი დარჩენილი ძალა მოვიკრიბე და მომგებიანი იუკო გავაკეთე. მანამდე კი დემონფოკოს ერთი გემრიელადაც ვუკბინე.

— როდის, აქამდე ეს არავის უთქვამს...

— ეს არც ტელევიზორში გამოჩნდებოდა და მსაჯებსაც არ დაუნახავთ. ვერაფერი რომ ვერ მოვუხერხე, ჩუმად ვუკბინე. ის შეხვედრა რომ წამეგო, ეგებ მეცემა კიდეც. საერთოდ ასე ვარ, თუ ვინმე ეშმაკურად მიგებს, მეც ვცდილობ, ეშმაკურადვე გავამწარო, თავში ჩავარტყა, ვუკბინო ან სხვა რამე მოვიფიქრო. გორდონსაც სახე გავულამაზე.

— ბრიტანელთან რუსი ტროფიმოვი მსაჯობდა, რომელმაც მანამდე ქეგხიშვილი დაჩაგრა...

— დაჩაგრა კი არა, დათოს ბრინჯაო ხელიდან გამოჰგლიჯეს. ტროფიმოვმა იქ საშინლად იმსაჯა, თუმც ჩემს ნახევარფინალში შეცდომები გამოასწორა. სიმართლე გითხრათ, ხალიჩაზე რომ გავედი და რუსი დავინახე, გამიხარდა. ბრძოლამდე შემხვდა და მითხრა, ფრთხილად იყავი, მგონი, აზიელ მსაჯს გინიშნავენ და აუცილებლად დაგჩაგრავსო.

— გორდონსაც გასცდი და ფინალიც მშვენიერი ქართული ჭიდაობის გდებით დააგვირგვინე.

— ქართული ჭიდაობა საერთოდ ძალიან მეხმარება. მისგან იმდენი ვისწავლე და ისე მიყვარს, რომ ამ წუთშიც რომ გავიგო, სადმე ქართული ჭიდაობა ეწყობა, ერთი წუთითაც არ დავფიქრდები, წავალ და ვიჭიდავებ. ჭიდაობა ჯერ ისე მიყვარს და მუსიკას რომ გავიგონებ, სულ ვგიჟდები ხოლმე. ვერც კი დავთვლი, ფალავანი რამდენჯერ გავმხდარვარ. ერთხანს კახეთში ხმებიც კი დადიოდა, ზვიადაური „ზილით“ დადის და ცხვრებს აგროვებსო. ბოლო დროს ეს ბიზნესი ჩამივარდა.

— იაპონელი იზუმის დაგდების შემდეგ ჰაერში თითი შემართე და წამით თვალები დახუჭე. რა გაიფიქრე?

— წარმოვიდგინე, რა დღეში იყო ჩემი ძმა და საერთოდ რა ხდებოდა იმ წუთში

ჩემს სახლში. ამ ყველაფრის გააზრება ერთ წამში მოვასწარი.

— ოლიმპიადამდე დიდ ტურნირებში თუ აგებდი, ძირითადად იმის გამო, რომ დინჯი ჭიდაობა არ გიყვარდა. ათენში კი პირქით, გარისკვას საერთოდ ერიდებოდი. როგორ შეძელი ამ ნაკლის გამოსწორება?

— ამით მართლა ყველა გავაკვირვე. მეუბნებოდნენ, რა დაგემართა, ასე უცებ როგორ დადინჯდიო. საერთოდ ჩემი სტილი შეტევაა და თუ ილეთს არ ვაკეთებ, ვერ ვისვენებ. ოლიმპიადაზე გადავწყვიტე, ნაკლებად გამერისკა და თუ ნაღდი არ იყო, ილეთზე არ წავსულიყავი. ისევ დემონფოკოსთან ბრძოლას გავიხსენებ. რამდენჯერმე შემეძლო ფანდზე შესვლა, მაგრამ დაღლილობის გამო შეიძლებოდა ჩემი დაწყებული ილეთი დასვენებულ ფრანგს დაესრულებინა. თავი არც გაჩემპიონების შემდეგ დამიკარგავს. ემოციების გადმოფრქვევას გამარჯვების წყნარად აღნიშვნა ვარჩიე და თითიც ავწიე. ტრიბუნაზე მჯდომ ბიძაშვილს, რომელიც ჩემს საქმაგოდ ესპანეთიდან ჩამოსულიყო, ვანიშნე, ეს ერთი და სხვა მრავალი-მეთქი. ის კი ისე ნერვიულობდა, ფეხზე წამოდგომაც არ შეეძლო. ცოტა ხანში ერთი ხელის დაქნევა მოახერხა და წამლებით მოსაბრუნებელი გახდა.

— შენ კი ალბათ ყველაზე მეტად მეორე ბიძაშვილის, ჯარჯის ჭიდაობამ განერვიულა.

— როგორც გითხარი, ჯარჯის ჩემპიონობაში თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი, მაგრამ მაინც გვარიანად ვინერვიულე. ტრიბუნიდან მხოლოდ მის პირველ შეხვედრას ვუყურე. მერე კი ვერც ნერვებმა გამიძლო და არც მეცალა. მეორე დღეს მე ვიყავი ხალიჩაზე გასასვლელი და მთელი პროცედურები მქონდა გასავლელი. აწონვა ზუსტად ფინალის დროს მიწევდა. მანამდე უნდა გამომეძინა, მაგრამ აბა, რა დამაძინებდა, სავარჯიშოდ დარბაზს მივაშურე. შიგადაშიგ ტელევიზორსაც შევხედავდი ხოლმე, თუმც ფინალს აწონვაც რომ არ დამთხვეოდა, ალბათ მაინც ვერ ვუყურებდი. რომ დაიწყეს ყვირილი, ილიადისი ჭიდაობსო, ბერძნების შორიახლო მუხლებზე დავდექი. ჯარჯის იპონი, იმათი ღრიალი და ჩემი უკან გადავარდნა ერთი იყო. კინადამ გაგიჟდნენ, ნეტა ამას რაღა ანერვიულებსო. იქვე მყოფმა მამრიკიშვილმა აუხსნა, ბიძაშვილიაო.

— მაგრამ პრესკონფერენციაზე თქვი, რომ ილიადისის ნათესავი არ იყავი. სიმართლის გამხელით რამე პრობლემას შეუქმნიდი?

— ეს იყო ჩემი უდიდესი შეცდომა, რომლის გამოსწორებასაც პრესკონფერენციის შემდგომ დღეებში ვცდილობდი. მგონი, არავინ დარჩენილა, რომ არ მეთქვა, ჯარჯი და მე ალალი ბიძაშვილები ვართ-მეთქი. ის ნაბიჯი, ჩემი აზრით, ისევ და ისევ ჯარჯის საკეთილდღეოდ გადავდგი. მთავარი დამნაშავე კი მისი მწვრთნელი იყო, რომელიც არწმუნებდა, თუ იტყვი, რომ ილიადისი არ ხარ, საქმე ცუდად წაგვივაო. ისიც ბავშვია და ბრმად მიენდო.

— ბიძაშვილთან უკან დაბრუნებაზე და საქართველოს სახელით ჭიდაობაზე ხომ არ გისაუბრია?

— აბა, რას ვიზამდი. მეც ბევრი ველაპარაკე და თვითონაც მართლა ძალიან უნდა, სამშობლოში დაბრუნდეს, მაგრამ ეს შეუძლებელია. ამ ნაბიჯს ვერაფრით გადადგამს.

— ბოლოს ისევ შენზე გკითხავ. ხმები დადის, სახელმწიფოსა და ბადრი პატარკაციშვილის გარდა სხვა დამჯილდოებლებიც გამოჩნდნენო, მართალია?

— ჯერ სხვა არაფერი მიგვიღია, მაგრამ დაპირებები კი არის. მაგალითად, გოგი თოფაძე მე და გიორგი ასანიძეს ავტომობილებს გვჩუქნის, „ცენტრ პოინტი“ და ქალაქის მერია კი საცხოვრებელ ბინებს.

— ნაჩუქარ ფულს როგორ ხარჯავ, გარდა იმისა, რომ მშვენიერი ავტომობილი შეიძინე?

— „ჰამერს“ თვალი ადრევე დავადგი და მიხარია, რომ ახლა ოცნების ასრულება შემიძლია. ჯერ არ შემიძენია, მაგრამ ალბათ აღარ გადავიფიქრებ. სხვა გეგმებიდან მხოლოდ ის ვიცი, რომ ახმეტაში კარგი საჭიდაო დარბაზი უნდა გავაკეთო, პატარებს კი საჩუქრად კომპიუტერებს გადავცემ. გარდა ამისა, მინდა, კახეთში ყოველ შაბათს მოვაწყო ქართული ჭიდაობები, მომავალი თაობა ჩვენზე უკეთესი რომ იყოს.

ოთარ გაღლაკელიძე

გუშინ ნაკრებმა ბოლო ღია ვარჯიში გამართა სპორტის სასახლეში — დღეიდან დრაჟენ ბრაიკოვიჩის სამწყსო უცხო თვალისთვის მიუწვდომელ სამზადისზე გადავიდა. ნაკრების წევრებმა წუხელ ბოლო ღამე გაათიეს საკუთარ სახლებში, დღეიდან კი დრაჟენის ამქარი სასტუმრო „სიმპათიაში“ დაბინავდა და 11 სექტემბრამდე ანუ ფინეთთან ჯახამდე ერთი ოჯახივით იცხოვრებს

ᲣᲘᲚᲘᲐᲛᲡᲛᲐ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲖᲔ ᲓᲐᲮᲣᲠᲐ, ᲑᲠᲐᲘᲙᲝᲕᲘᲩᲛᲐ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ ᲓᲐᲒᲕᲘᲮᲣᲠᲐ



ძმები უილიამსები: ჩვენი შემონდი და მისი მენეჯერი ერიკი

გუშინდელ დილის ვარჯიშზე სპორტის სასახლეში რომ მივედი, ჩვენი კარგი ნაცნობი ერიკი, „გაქართველებული“ შემონდ უილამსის ძმა, სპორტულ წულ-მაისურაში გამოწყობილიყო და ჩვენი ნაკრების წევრებთნ ერთად ბურთს ესროდა. ვიცოდი, რომ ერიკიც კალათბურთელია და წამიერად ისიც კი ვიფიქრე, მასაც ხომ არ უპირებენ ქართული პასპორტის მიცემას და ფინელებთან გამოყვანას-მეთქი. ერიკმა თითქმის ყველა ბურთი ჩააგდო, რაც ისროლა, ფარზე ხტომისას კი თავის ძმაზე არანაკლები ელასტიურობა გამოიჩინა და ბურთს გარდიგარდმო ტენიდა. თუმც გახდა 11 საათი, ბრაიკოვიჩის სასტვენის ხმა გაისმა და ერიკმაც წამში სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა. დილის ვარჯიში დაიწყო...

ვარჯიში იყო ისეთივე, როგორც წინა დღეს. ეგაა, ტაქტიკის დამუშავებამდე ბრაიკოვიჩმა ბიჭები მოთელა, ნაირგვარი გამახურებელი და ძვლების ამატკაცუნებული ვარჯიშობანი შეასრულებინა. მერე იყო სამკაცინი შეტევა ცარიელ ფარზე და თუ მაინცდამაინც ამ ვარჯიშის უკეთ შემსრულებლების გამორჩევას მოვისურვებთ, უილიამს-ფაჩულია-მარკოიშვილის ტრიოზე უნდა ვთქვათ, რომელიც შეტევაში მთელ ჯიგარს და ეშხს აქსოვდა.

ამას უყურებდა სათადარიგოთა სკამზე მჯდომი ერიკი და თავის ძმის სიჩაუქით აღფრთოვანებული იყო. როცა ბრაიკოვიჩმა გუნდი შუაზე გაყო და ნამდვილი თამაშის მაგვარი ვარჯიში გაახურა, ერიკს ხშირად უხდებოდა წამოყვირება და ტაშის კვრა, რაკი მისი დედმამიშვილი სპორტის სასახლის ტრიბუნებისთვის უცხო მოძრაობებით აბრუებდა მეტოქეებს. ერიკმა არაერთხელ წამოიყვირა ზაზა და „სკიტა“, რაც ამ ახმახი ბიჭების მგრგვინავ ჩატენვებს მიუძღვნა.

ვარჯიში კი თავისი ჩვეული ტემპით მიედინებოდა. ბრაიკოვიჩი თითქმის სულ შეტევებს ამუშავებინებდა ბიჭებს, განსაკუთრებულ ყურადღებას კი საფინეთო ხუთეულს — ფაჩულია, ცქიტიშვილი, უილიამსი, მარკოიშვილი, დიდი ბოისა — უთმობდა. ასე თამაშ-თამაშში, სირბილ-ოფლდენაში მიილია თითქმის ორი საათი და ნაშუადღევს ვარჯიშიც შეწყდა. თითქმის ყველა მოთამაშეს გამოველაპარაკე ვარჯიშის შემდეგ, ყველაზე საინტერესო ამბავი კი ვლადიმერ ბოისასგან შევიტყვე.

„მაკედონიის ნაკრებში დიდი განხეთქილებაა. ფედერაციას ფული არ აქვს და გუნდს ვერ კრებს. ადგილობრივი კალათბურთელების მხრივ პრობლემა არაა, მაგრამ მაკედონიელებს ლეგიონერები ვერ ჩამოჰყავთ. ჩემი თანაგუნდელია მაკედონიელი და მისგან ვიცი, რომ ილიევსკი და ნაუმოსკი ნაკრებში არ ჩადიან. ერთადერთი სერიოზული მოთამაშე, რომელიც ალბათ მაკედონიას ეყოლება, სკიპერელი ვრბიცა სტეფანოვია. თითქმის გამორიცხულია სხვა ლიდერების მაკედონიის ნაკრებში თამაში და თუ მაინც მოხდა სასწაული, ისინი გუნდს მატჩის წინა დღეს შეუერთდებიან, რაც უდიდეს უპირატესობას გვაძლევს.“

შეგახსენებთ, რომ მაკედონიასთან მატჩი 15 სექტემბერს გაიმართება, სავარაუდოდ, დედაქალაქ სკოპიეში. მანამდე, კი, 11-ში, ბრაიკოვიჩის გუნდს არანაკლებ სერიოზული მეტოქე დაუპირისპირდება სპორტის სასახლეში — ფინეთის ორთვიან შეკრებაგავლილი ნაკრები.

ირაკლი პერტაია



საქართველოს ნაკრები ზაზა ფაჩულიას კაპიტნობით გვარიანად მოითელა

მარტო კაცი უშბაზე

ნუკრი გველებიანი



სვანეთის ულამაზეს, ორთავა უშბაზე ლამის ორმოცამდე მარშრუტია გაკვალული. პირველი ადამიანი, ვინც იქიდან გადმოიხედა, მუხლმაგარი მონადირე ბეთქილი იყო — ლეგენდა ამბობს ამას.

ერთხელ ბეთქილი სანადიროდ წავიდა. მთელი დღე ამაოდ დაეხეტებოდა ტყე-ღრეში. ბოლოს დამაშვრალი უშბის ფრიალოებს მიადგა. ანაზდად კლდეზე გადმომდგარ ნადირობის ქალღმერთ დალის მოჰკრა თვალი. მშვიდად გადმოჰყურებდა არემარეს, თან ოქროსფერ თმას ივარცხნიდა.

მონადირემ და ნადირობის ქალღმერთმა ერთმანეთს მზერა სტყორცნეს. სწორედ აქედან დაიწყო მათი ხიყვარული.

ბეთქილი დალისთან დარჩა, მთელ დუნიაზე უბედნიერესად თვლიდნენ თავს.

ერთ მშვენიერ დღეს დალიმ შეატყო, რომ ბეთქილს სევდა შეჰყროდა.

„შინ დაბრუნება მინდა. მინდა მოვინახულო მშობლები, ახლობლები, მეზობლები და მერე უკან დავბრუნდეო“ — უთხრა ბეთქილმა და დალიმაც ამ პირობით გაუშვა.

ბეთქილის დაბრუნება მთელ სოფელს გაუხარდა — მამაცი მონადირე ხომ ყველას დაღუპული ეგონა. მერე მას უამბეს, შენს საძებრად ჩვენი საუკეთესო ვაჟკაცები გამოეშურნენ, მაგრამ ცოცხალი სულ რამდენიმეღა დაბრუნდაო. გადარჩენილებმა თქვეს, უშბის კალთებზე ქარაშოტი და გრიგალი დაგვატყდა თავს, ზოგი უფსკრულში გადაიჩეხა, ზოგიც უგზოუკვლოდ დაიკარგაო.

მიხვდა ბეთქილი, მათი დაღუპვა ნადირობის ქალღმერთს ედო ცოდვად და ჩაიფერფლა გულში დანთებული სიყვარულის ცეცხლი, მერე კი...

მერე სხვა შეიყვარა.

ქორწილს იხდიდა ბეთქილი... ანაზდად ჯიხვმა გააპო თავმოყრილი ხალხი და მაღლა, უშბისკენ გაიჭრა. ჯიხვს ფეხდაფეხ დაედევნა ბეთქილი...

მას შემდეგ აღარავის უნახავს. ნადირობის ქალღმერთმა, მისმა სატრფომ, დალიმ დაღუპა უშბის კალთებზე.

ამ ლეგენდამ ბევრ სვანს დააკარგვინა მოსვენება, მთამსვლელობას აზიარა და უშბისკენ მიმავალ გზაზე დააყენა. მათ შორის მურათბი კიბოლანი.

1903 წელს უშბა პირველად დალაშქრეს ადამიანებმა. ალპინიზმის ისტორია იცნობს მათ სახელებს, მაგრამ მათ შორის აღნუსხული არ არის უცხოელ მთამსვლელთა მეგზურის ვინაობა, ხალხური გადმოცემა კი ამბობს, რომ ეს იყო ასევე სვანი მონადირე მურათბი კიბოლანი.

მურათბი კიბოლანისა და ბეთქილის თავგადასავალმა მოსვენება დაუკარგა ნუკრი გველებიანსაც, რომელმაც ამ დღეებში მარტოდმარტომ დალაშქრა უშბა.

წინათ, ალპინიზმის გარიჟრაჟზე მთამსვლელები მწვერვლებს იოლი გზებით იპყრობდნენ. მერე დაიწყეს რთული გზების ძებნა, კლდოვნი ასვლები, ზამთრის ასვლები თუ ღამის ასვლები... როცა ეს ყოველივე განვლილ-გატკეპნილი აღმოჩნდა, უკვე სისწრაფეში დაიწყეს თავის გამოცდა, ზოგმაც სოლო ასვლებს მიჰყო ხელი.

საქართველოში, დასავლეთისგან განსხვავებით, სოლო ასვლები პოპულარული არ არის. თუმცა, თითო-ოროლა ჩვენი მთამსვლელი მშობლიური კავკასიონის მწვერვალებზეც ასულა და უცხოეთის მთათა პიკებზეც. აი, კავკასიონის ერთ-ერთ ურთულეს მწვერვალ უშბაზე კი სოლო ასვლა ნუკრი გველებიანამდე აზრად არავის მოსვლია. ან იქნებ სხვასაც უფიქრია ეს, მაგრამ მიზნის მიღწევა არ უცდია.

და რაკი ნუკრი გველებიანი აღმოჩნდა პირველი, ვინც მითიური ბეთქილივით უშბას მარტოდმარტომ შებედა და მიზანსაც მიაღწია, უპრიანი იქნება მკითხველისთვის მისი წარდგენა.

მთელ ამ ისტორიაში უცნაური ისაა, რომ ნუკრი გველებიანი არც ისე გამოცდილი მთამსვლელია. აქამდე მისი ყველაზე გამორჩეული ასვლა კავკასიონის კიდევ ერთ-ერთ ურთულეს შხარას მასივის ჩრდილოეთ ანუ მთავარ მწვერვალზე ლაშქრობა იყო. შეიძლება ითქვას, რომ ნუკრის მთამსვლურ დამსახურებათა ნუსხა სწორედ ამით იწყებოდა და ამითვე თავდებოდა. თუმცა, უშბამდე ცოტა ხნით ადრე თავი წარმატებით გამოცადა შორეულ პამირში აღმართულ შვიდათასიან ლენინის პიკზე.

ნუკრი გველებიანს აქამდე უფრო მეკლდეურად იცნობდნენ. მან ამ საქმეში საქართველოში უძლიერესის სახელი მოიპოვა და ეს მრავალგზის დაამტკიცა კიდეც. მეკლდეურობაში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გახდა და იტალიაში სწრაფცოცვაში მსოფლიოს თასის გათამაშების მესამე ეტაპზე ექვსეულში მოხვდა. იქნებ მეტისთვისაც მიეღწია, მაგრამ დანარჩენ ეტაპებზე უსახსრობის გამო ვერ გამოვიდა. ეს 1998-99 წლებში იყო. ბოლოს, ისევ და ისევ უსახსრობის გამო მეკლდეურობა მიატოვა, წლეულს კი მთაში სიარული დაიწყო, უფრო სწორად, თავის პირველ გატაცებას დაუბრუნდა. თუმცა, ამას იმთავითვე ფიქრობდა, როცა მთამსვლელობა მეკლდეურობაზე გაცვალა.

„მეკლდეურობას უფრო ახალგაზრდული წლები, სისხარტე, მოქნილობა და ენერგია სჭირდება, მთამსვლელობაში კი საშუალო ხნისანი მეტ წარმატებებს აღწევენ და ბევრი ჭარმაგობამდეც მწვერვალებზე დადის — გვეუბნება ნუკრი გველებიანი — მთაში სიარული ცოტა უცნაურად დავიწყე. ერთ მშვენიერ დღეს, მეოთხე-მეხუთე კლასის მიჯნაზე რომ ვიყავი, შინიდან სანადირო თოფი მოვიპარე და უთენია მთაში მარტოდმარტო სანადიროდ წავედი. შინ ორი ნანადირევი არჩვით დავბრუნდი. თიბვის სეზონი იყო და მთელ სოფელს სათიბში მოეყარა თავი, გზად სწორედ მათთან ჩამოვიარე. ჩემი ბიძები, დედის ძმები დავით და შალვა ონიანებიც იქ იყვნენ. ნანადირევით რომ დამინახეს, სიხარულით ცას ეწივნენ. ეს უკვე ნამდვილი მონადირეა და მერე რაღას იზამსო. ბიძებმა სანთლები დაანთეს, მონადირედ მიღების ცერემონიალი გამართეს. ასე მაკურთხეს მონადირედ, მამაჩემმა, თავად კარგმა მონიდარემ კი შემიფუცხუნა. მას მერე ნადირობა ჩემი უპირველესი გატაცებაა. ნადირობის ყველა წესს ვიცავ და მთაშიც კარგად დავდივარ, თუმც ბოლო წლებში საამისოდ იშვიათად ვიცლი, უფრო მეგობრების ხათრით ვნადირობ. ამიტომაც ცხონებულმა ჯოკია გუგავამ, მთამსვლელობაში საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონმა, ჩემი მაშინდელი ნადირობის ამბავი რომ შეიტყო, ალპინისტურ ბანაკ „ზესხოში“ მიმიწვია, რომელსაც იგი მეთაურობდა.“

„მაგრამ ნუკრის მამას ჯამბუ გველებიანს შვილის მთამსვლურ გზაზე დადგომა სულ არ ხიბლავდა. შვილი მაინც წავიდა „ზესხოში“, რომელიც მისი სოფლის, მელეს სიახლოვეს იყო.

ნუკრი გველებიანის პირველი ალპინისტური ნათლობაც იქ მოხდა, მწვერვალ ნინოშვილზე. მთამსვლელის მოწმობა რომ მიიღო, სიხარულით ცას ეწია. იმ მოწმობაში ერთის გარდა სულ ფრიადები ჩაუწერეს: ტექნიკურ მომზადებაშიც, ფიზიკურშიც, თოკების ხმარებაშიც, საბაზო თუ ზედა ბანაკში აქტიურობაშიც, თანაგუნდელებთან ურთიერთობაშიც... ყოველივე ამაში სხვებსაც აჯობა.

— მაგრამ ერთი ნაკლი მქონდა — რუსული არ ვიცოდი და იმ მოწმობაში ესეც ჩამიწერეს. მერე და მერე დავლაშქრე შხარა და ბეზინგის ზღუდის რამდენიმე მწვერვალი, პირველი თანრიგიც დავხურე. მერე თბილისში რომ ჩამოვედი, ვიკითხე, მთამსვლელები აქ სად ვარჯიშობენ-მეთქი. ბოტანიკური ბაღის კლდეებზე მიმასწავლეს. იქ რომ მივედი, უმეტესობა მეკლდეური დამხვდა. ეტყობა, კლდეზე კარგად დავდიოდი და ეს რომ ცნობილმა მეკლდეურებმა ლადო გურჩიანმა და ვალოდია ქურასბედიანმა დაინახეს, შემიჩნდნენ, ამ საქმეს უნდა გაჰყვეო. ასე აღმოვჩნდი მეკლდეურობაში, წლეულს კი ისევ მთამსვლელობას დავუბრუნდი და გადავწყვიტე ჩემი 25 წლიანი ოცნების განხორციელება — უშბაზე მარტოდმარტო ასვლა. მასზე ასვლა რაღაც ტვირთად მაწვა. სულ უშბაზე ვფიქრობდი, მაგრამ გადამწყვეტ ნაბიჯს ვერა და ვერ ვდგამდი, თუმცა, დღევანდელზე უკეთ მომზადებული წინათ ვიყავი, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ უშბაზე მარტოდმარტო ასვლა ჩემთვის ნაადრევი იყო.“

უშბამდე სავარჯიშოდ ნუკრი ყაზბეგის რაიონში მწვერვალ მყინვარწვერზე ორჯერ ავიდა. მერე, ამ ერთი თვის წინათ, თავისი პირველი შვიდათასიანიდან ლენინის პიკიდან სხვებთან ერთად გადმოიხედა.

ნუკრომ თავისი მზადყოფნა თბილისიდან უძოს მთაზე არბენითაც შეამოწმა.

„უძოს მთაზე მშობლებთან ერთად ბავშვებიც დადიან ტურისტულ ლაშქრობებში, მაგრამ მე იქ, როცა აქტიურად ვვარჯიშობდი, თბილისიდან ავრბოდი. იქიდან ისევ სირბილით შეუსვენებლად სოფელ ოქროყანაში ჩავდიოდი. ვიფიქრე, თუ ამას ახლაც შევძლებ, ესე იგი ფიზიკურად ისევ ძველებურად ჯანზე ვყოფილვარ-მეთქი. და როცა ეს შევძელი, შვებით ამოვისუნთქე, მაგრამ აღარც მთამსვლური ჩასაცმელ-დასახური მქონდა, აღარც ინვენტარი და აღარც მათი შესაძენი ფული, მაგრამ ჩემი სამეგობრო წრე მხარში ამომიდგა.

თბილისში „ჯორჯია იმობილიარეს“ პრეზიდენტმა მალხაზ სიხარულიძემ და მისმა მოსკოვში მოსაქმე კოლეგებმა კოტე გოგელიამ, მალხაზ სიხარულიძემ, კობა და კახა ცხადაიებმა გამიმართეს ხელი. მათივე წყალობით მოხერხდა ლენინის პიკზე ასვლაც და უშბაზე ლაშქრობაც.“

უშბაზე ლაშქრობამდე ნუკრიმ და ლადო გურჩიანმა სოლო ასვლისთვის კედელზე მოწყვეტის შემთხვევაში საკუთარი თავის დაცვის ვარიანტები თბილისშივე დაამუშავეს. მერე უშბის მისადგომებთან მაზერში ნუკრი [illegible] ძმის ბაჯეს ოჯახში ძმულო სოფელი ერახნდა. იქნ [illegible] ძმაშვილი ჯახაც, რომელიც 4000 მეტრამდე უნდა აჰყოლოდა ნუკრის და იქიდან ედევნებინა თვალი მეგობრის ლაშქრობისთვის.

„მთელი სოფელი მხარში ამომიდგა. ზოგმა ცხენები მოიყვანა ბარგის ასაზიდად. ზოგმა საკვები მომიტანა, ყველამ ერთად კი სანთლები დაანთო და ჩემი მშვიდობით დასაბრუნებლად ლოცულობდა, მათ შორის ბაჯუს მეუღლე კატუშა კვიციანიც. იგი ქმრის გარდაცვალების გამო მგლოვიარე იყო, მაგრამ შავი ლეჩაქი თეთრით შეცვალა და ღმერთს ასე ევედრებოდა ჩემს წარმატებას.

ლაშქრობის პირველ დღეს ნუკრი მწვერვალის ძირს მიადგა. მეორე დღეს 4000 მეტრამდე კახა გურჩიანთან ერთად ავიდა, მესამე დღეს კი მწვერვალზე მარტო წავიდა და მიზანსაც მიაღწია.

„იქ, 4000 მეტრზე მთელი ღამე ასვლაზე ვფიქრობდი. ვერაფრით ვეგუებოდი იმ აზრს, რომ მეგობარი იქ უნდა დამეტოვებინა და მარტოდმარტო გამეგრძელებინა გზა. ვფიქრობდი, ავდგები და მწვერვალზე კახასთან ერთად ავალ-მეთქი. მერე ამ აზრს მეორე ებრძოდა, ამდენი წელიწადი მარტო ასვლას ვოცნებობ და ასეც უნდა მოვიქცე-მეთქი. ბოლოს მარტო წავედი. უცნაურია, მაგრამ კედელზე კი არა, ქედზე რომ გავედი, იქ უფრო გამიჭირდა. სულ თოვლი და ყინული იყო. მწვერვალზე სამ საათზე ავედი. იქ ჩემს წინამორბედ მთამსვლელთა წერილს ვეძებდი. ამ დროს ქვემოდან რაციით მაცნობეს, შეშვი ძებნას, მთელი სოფელი ხედავს, რომ მწვერვალზე ხარ, დაშვება დაიწყე, თორემ ამინდი ფუჭდებაო. ბოლოს წერილი მაინც მოვძებნე. უკრაინელთა გუნდისა აღმოჩნდა, რომელიც ჩრდილოეთიდან უშბის ტრავერსისას ამოსულა. ის წერილი წამოვიღე და სამაგიერო დავტოვე. იმავე დღეს კახასთან ერთად კარავში ვიყავი. ამინდი მართლაც გაფუჭდა და მწვერვალმა საშინელი ქარაშოტი დაიტეხა თავს. მეორე დღის შუადღემდე კარვიდან ვერ გამოვედით. მერე იყო დაშვება და მთელი სოფლის ზეიმი, კახა გურჩიანთან კი გაისად აუცილებლად წავალ უშბაზე. იქ ერთი გაუვლელი მარშრუტი მაქვს შეგულებული და მისი დაძლევა სერიოზული წარმატება იქნება.“

ავთანდილ გურასაშვილი



კახა გურჩიანი და ნუკრი გველებიანი უშბის მისადგომებთან

US OPEN 2004 ნიუ იორკი. ჰარდი. საპრიზო 19 050 000 $

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS ნიუ იორკიდან

ამერიკელი გოგონები ამერიკის ღია პირველობის ბადეში გაეხვივნენ: ორი ბობოლა, ჯენიფერ კაპრიატი და სერენა უილიამსი უკვე მეოთხედფინალში შეხვდებიან ერთმანეთს

პატარა პატის დიდ ქალთან არ გაუვიდა მართალი

კვირა. 5 აგვისტო

კაცები

მესამე წრე

ენდი როდიკი (2, აშშ) — **გილერმო კანიასი** (29, არგენტინა) 6:1, 6:3, 6:3; **ლეიტონ ჰიუიტი** (4, ავსტრალია) — **ფელისიანო ლოპესი** (30, ესპანეთი) 6:1, 6:4, 6:2; **ტომი რობრედო** (18, ესპანეთი) — **ალექსანდრ პეია** (ავსტრია) 6:3, 6:3, 6:2; **იაროსლავ დოჰანსონი** (28, შვედეთი) — **შტეფან კუბეკი** (ავსტრია) 6:7 (2:7), 7:6 (7:1), 6:1, 6:3; **ტომი ჰაასი** (გერმანია) — **რიკარდუ მელუ** (ბრაზილია) 6:2, 6:3, 7:5; **კაროლ ბეკი** (სლოვაკეთი) — **ნიკოლაი დავიდენკო** (რუსეთი) 6:3, 4:6, 3:6, 6:1, 6:4; **ტომაშ ბერდიხი** (ჩეხეთი) — **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) 2:6, 6:1, 6:3, 4:6, 6:1; **მიშელ ლოდრა** (საფრანგეთი) — **იურგენ მელცერი** (ავსტრია) 6:3, 6:2, 7:5

ქალები

მეოთხე წრე

ამელი მორესმო (2, საფრანგეთი) — **ფრანჩესკა სკიავონე** (16, იტალია) 6:4, 6:2; **სერენა უილიამსი** (3, აშშ) — **პატი შნიდერი** (15, შვეიცარია) 6:4, 6:2; **ელენა დემენტიევა** (6, რუსეთი) — **ვერა ზვონარიოვა** (10, რუსეთი) 1:6, 6:4, 6:3; **ჯენიფერ კაპრიატი** (8, აშშ) — **აი სუგიამა** (12, იაპონია) 7:5, 6:2

ბედმა და წილისყრამ ისე განსაჯა, რომ ბობოლა ამერიკელი ქალები ერთმანეთს ნახევარფინალებამდე დაჩოგნავენ, ოღონდ, თუკი სერენა უილიამსი და ჯენიფერ კაპრიატი ერთმანეთს სწორედ სანახევარფინალო საგზურისთვის შეეხლებიან, სერენას უფროს დაიკო ვინუსსა და ლინდსი დევენპორტს ერთმანეთში უმჯობესი გუშგვიანლამ მეოთხე წრეში უნდა გაერკვიათ.

ტურნირის 1999-00 წლების ჩემპიონი სერენა შვეიცარიელ პატი შნიდერთან მატჩამდე მილეთს ძირითადად თავისი სექსბომბური სამოსლით ატყვევებდა, ამ მატჩისას კი უკვე ბარაქიანი ჩოგნაობითაც მოხიბლა.

შნიდერს მათ აქამომდელ ერთადერთ შეხვედრაში გამარჯვება დაეკვეხოდა და სერენას თავდაპირველ მოწოდებას ისე შლეგიანად ეკვეთა, სტატისტიკაში ჩახედულთ უმალ იეჭვეს, იმავის გაკეთებას ხომ არ ლამობსო. მაგრამ სერენა არც პირველი გეიმის დათმობას აპირებდა და მით უმეტეს არც მეორედ ძლევას — გაძალიანებული მეტოქე მან მყისვე დააგრილა და მატჩის სადაკვეები ბოლო გათამაშებამდე აღარ გაუშვია. ის კი არა, შნიდერს გზადაგზა 12 ეისიც ჩაუგრუხუნა.

ხოლო, რაკიღა თავის მხრივ 28 წლის ჯენიფერარიმაც წარმატებით გადალახა სამეოთხწრეო თამასა, დღეს გვიანღამ ამათ მეჩვიდმეტე დაპირისპირებასაც ვიხილავთ.

შეგახსენებთ, რომ წინა თექვსმეტიდან ათში სერენას უმარჯვია. ისიც საინტერესო შესახსენებელია, რომ წლეულს მათ უკვე ორჯერ მოასწრეს ერთმანეთში სლემმეოთხედფინალურად წაკეჭნავება და როლანგაროსობაზე რომ ჯენიმ მოიგო, უიმბლდონობაზე სერენამ იმძლავრა.

მოკლედ — დიაღ პრინციპული და უშეღავათო დავლური გველის.

თუმც სერენა ნაამებია ფლეშინგმედოუზური პუბლიკის მხარდაჭერით, რაიც მილეთმა თუნდაც შნიდერის წინააღმდეგ ჩოგნაობისას გამოავლინა, მაგრამ ვარაუდობს, რომ ჯენისთან შეხლისას მაყურებლის სიმპატია უფრო ამ უკანასკნელისკენ იქნება.

„ჰო, ასე მგონია, ფანები როგორც წესი მას უფრო ქომაგობენ ხოლმე — ამბობს იგი — აქ წლეულს განსაკუთრებულად კარგად დამხვდნენ, მაგრამ საკმარისია ჩემს წინააღმდეგ ან ჯენი, ან ლინდსი დევენპორტი გამოვიდეს — ადრე კი ამათ მარტინა ჰინგისიც ემატებოდა — რომ მილეთის სიმპატია უმალ ჩემი მოწინააღმდეგის მხარეზე გადადის. ეს მარტო აქ კი არ არის, ყველგან ასეა. თუმცა საწუწუნო მაინც არაფერი მაქვს. წლეულს აქ მართლაც საუცხოოდ მქომაგობენ. კი მიკვირს, მაგრამ თანვე მაგრადაც მისწორდება.“

„ჯენიფერი? მასთან თამაში ძალიან მიყვარს. ის ყოველთვის მაიძულებს, ჩემი საუკეთესო ჩოგბურთი ვითამაშო, ასე რომ ალბათ ეს დიდებული მატჩი იქნება.“

„ნაოპერაციევი მუხლი? თქვენ მართალი ბრძანდებით, ექიმები მირჩევდნენ, ტურნირი კიდევ ერთხელ გამომეტოვებინა, მაგრამ ისიც მეყოფოდა, აქაურობას შარშან რომ დავაკლდი. ამიტომაც ექიმების რჩევა ერთ ყურში შევუშვი და მეორიდან გამოვუშვი.“

და მართლაც — მუხლადობისა და ბარძაყოსნობის ამბავში სერენას მართლაც არაფერი რომ უჭირს, ეგ შეუიარაღებელი თვალითაც კარგად მოსჩანს. აი, მისი ჩოგნაობის რეალურ ღირებულებას კი დღეს ნაშუაღამევს შევიტყობთ.

სხვაფრივ: იმ დღეს ასევე გაუჭირვებლად გაივაკა ამელი მორესმომაც, რომელსაც დიდი შანსი აქვს, ნაამკვირევს ჟუსტინ ენენ-არდენს ქალთა ამქრის პირველოსნობა ჩამოართვას. საამისოდ აუცილებელია, თავად ჟუსტინმა ტურნირის ჩემპიონის ტიტული დაკარგოს. თუმცა ზორბა ფრანგისთვის პირველოსნობაზე მთავარი კარიერის პირველი სლემტიტულის მოხვეჭაა — იმედია, ჩვენს ერთგულ მკითხველს არ სჭირდება იმის შეხსენება, რომ მორესმოს აქამდე დიდი მუზარადის ერთი ტურნირიც არ მოუგია.

თუმცა სანამ ოცნებათა ახდენის დრო დადგებოდეს, რიგში ჯერ ელენა დემენტიევასთან სამეოთხედფინალო განდაგანაა. ამელისა და სანდომიან ლენკას სლემმეოთხედფინალურად წლეულს უკვე უთამაშიათ. ამბავი პარიზულ სეფეთიხნარზე მოხდა და ვინძლო თქვენც გახსოვდეთ, იქ რუსმა გოგომ იმარჯვა. მზად ვარ რევანშის ასაღებადო, ამბობს ამელი და, ჰაი-ჰაი, რომ არ უნდა სტყუოდეს.

ახლა კაცებზეც, და უწინარესად იმაზე, რომ ტურნირის ჯომარდმა ფავორიტებმა — შარშანდელმა ჩემპიონმა ენდი როდიკმა და 2001 წლის ჩემპიონმა ლეიტონ ჰიუიტმა კვლავ დამაჯერებლად და სეტისწაუგებლად გაინავარდეს.

გამოცდილი გილერმო კანიასის დამორჩილებას ენდიბოიმ საათი და 37 წუთი მოანდომა. ამ ხნის განმავლობაში მან მეტოქის წილი კორტი 49 საქულე დარტყმით ააოხრა და ზედაც 21 ეისი დაურთო. ლეიტონს კი ფელისიანო ლოპესის ასალაგმად როდიკზე ექვსი წუთით ნაკლები დასჭირდა.

თუკი ყველაფერი ისე გაგრძელდა, როგორც ამას ლოგიკა და ჩვენი სიმპატიები გვკარნახობს, მაშინ ჭაბუკი იანკი და კისკასი ოზბიჭი ერთმანეთს ნახევარფინალში შეეხლებიან. ოღონდ ჯერ-ჯერობით პირველს მეოთხე წრეში ტომი როობრედოს, ხოლო მეორეს — კაროლ ბეკის გავლა მოუწევს.

მე-18 ნომრად განთესილმა რობრედომ — სხვათა შორის — მეოთხე წრისკენ გზა უსახელო ავსტრიელ ალექსანდერ პეიას ძლევით გაიკვალა. ის დღე ავსტრიელ ხვადთათვის საერთოდაც უიღბლო გამოდგა — პეიას გარდა ბრძოლას ტურნირს შერჩენილი დანარჩენი ავსტრიელებიც შტეფან კუბეკი და იურგენ მელცერიც გამოეთიშნენ.

კაროლ ბეკმა კი რუსი ნიკოლაი დავიდენკო აოტა, რომელსაც კვალდაკვალ მიჰყვა მისი თვისტომი მიხაილ იუჟნი. ეს უკანასკნელი 18 წლის ნიჭიერ ჩეხ ტომაშ ბერდიხს ემსხვერპლა, რომელმაც — ჯერ არ უნდა დაგვიწყებოდეთ — ათენის ოლიმპიადიდან თვით როჯერ ფედერერი დაიჭნა.

მეოთხე წრეში ბერდიხი თავის ყმაწვილურ ჩოგანს გერმანელ ტომი ჰაასზე გამოსცდის. ჰაასს მთელი შარშანდელი სეზონი მხრის ტრავმის გამო გაუცდა და აშშ-ის ღია პირველობაზე წარმატებული ჩოგნაობით ისე კმაყოფილია, რომ არაფრის იოლად დამთმობი არ იქნება.

ლევან კელაურაძე

ბორჯომმა ახალი თასი შეაავსო

თბილისის ტრადიციულ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე არაერთ აწ უკვე სახელიან გოგონას უჩოგნავია. ქართველი გოგონებისთვის კი ეს დიდი ჩოგბურთისკენ ტრამპლინად ჯერ ვერ იქცა. წლეულს „ქართუ ოუფენისა“ და ბათუმის ტრადიციულ გათამაშებებს „ბორჯომის თასი“ ემატება.

ახალი ტურნირი ლეილა მესხის აკადემიის კორტებზე დღეს იწყება და მასში მომდევნო ორ ტურნირზე მეტი ქართველი ითამაშებს. „ბორჯომის თასის“ საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარია, რაც არცთუ მაღალი რეიტინგის სპორტსმენებისთვის სავსებით საკმარისია. კონკურენციაც 25-ათასიანზე ნაკლებია და შესაბამისად, საერთაშორისო ტურნირებით ვერგათამამებულ ქართველ გოგონებს საკუთარ კედლებში ეძლევათ უცხოელ თანატოლებთან და უფროსებთან გაჯიბრების შანსი.

საკვალიფიფკაციო ეტაპი ამ უქმეებზე ჩატარდა და ძირითად ბადეში შემსვლელი რვა ჩოგბურთელის ვინობაც გაირკვა. მათგან ხუთი ჩვენებურია. ია ჯიქია, მანანა შაფაქიძე, ნათია გეგია, ნინა მაკაროვა და აქსანა კალაშნიკოვა ძირითად ბადეში განთესილ რვა ქართველს: სოფო მელიქიშვილს, მაკა ჩახნაშვილს, თინათინ ყავლაშვილს, თათია მიქაძეს, ნანა უროტაძეს, სოფო შაფათავას, სოფო ქვაცაბაიასა და სალომე ჩაჩხუნაშვილს შეუერთდნენ და კენჭისყრაც შედგა.

ქართველებთან ერთად მონაწილეთა სიმრავლით ტრადიციულად რუსები გამოირჩევიან. ჩვენს მსგავსად, მათაც ცამეტი ჩოგბურთელი ჰყავთ ძირითად ბადეში. დანარჩენ ექვს ადგილზე კი უკრაინელი, ხორვატი, ლატვიელი, ესპანელი და სომეხი გოგონები მოდიან.

შეხვედრები თერთმეტი საათიდან დაიწყება და დღის ბოლომდე გასტანს. ვისაც სურვილი და დრო გაქვთ, მობრძანდით და ისიამოვნეთ.

ოთარ ბაღლაკელიძე



მაკა ჩახნაშვილი

ფოტო ფილიპე ბურაგინა

REUTERS კოჩრეინიდან

ნიუ ჯოუკენის ქვეშ

კოჩრეინში ბარე 37-ედ ჩატარდა „ლაიოზ როდეო“ და კორიანტელიც დიდი იყო. ყველაზე დიდი ხიფათი ცხენქვეშ მოყოლილმა ირვაინულმა კავბოიმ კრეიგ რიზორმა ნახა, თუმც მოტეხილობას მაინც გადაურჩა. ცხენს კი „ნოუ ჯოუკენი“ ჰქვია.

ორი ტაივანური

ტაივანის პრეზიდენტი ჩენ შუი-ბიანი, რა თქმა უნდა, ამაყობს იმით, რომ ორმა ტაიკვანდოს ოსტატმა, ჩენ შოსინმა (გოგო) და ჩუ მუ იუნმა ოქროს მედლები ჩამოიტანეს ქვეყანაში, რომელსაც დღემდე ებრძვის ჩინეთი, ჩემი მიწა ხარ და უნდა შეგიერთოვო.

REUTERS ტაიპეიდან

ნასტომი

REUTERS ტორონტოდან

მაცქერალი ბევრი არ არის, მაგრამ ვინც არის ყველა ამხნევებს ტორონტოელ ერიკ კროისერს, რომელსაც ოკლენდელთა დაკრული ბურთის დაჭერა მოედნის გარეთაც გაუბედავს. ასეთია ბეისბოლი. „ტორონტომ“ კი 13:5 მოუგო „ოკლენდს“.

კაცობის ნინ

ბრაზილიელებმა თავიანთი ტომ-მოთიელები გამოუშვეს „მურუმბის“ სტადიონზე. სან პაულუში, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის წინ მასპინძელთა და ბოლივიელთა შორის ყველაზე ლამაზმა ბრაზილიელმა გოგონებმა გააგორეს ბურთი და ეს საქმე მშვენივრადაც გამოუვიდათ.

REUTERS სან პაულოდან

ჩემპიონი დაკავეს

მანაგუაში დაატუსაღეს ნიკარაგუის სახელი და დიდება, მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი კრივში რიკარდო მაიორგა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც გამოქვეყნდა ვიდეოკასეტა, სადაც ერთი 20 წლის გოგო ამბობს, მოკრივემ სასტუმროს ნომერში შემიტყუა, მცემა და გამაუპატიურაო. სწორედ ერთი თვის თავზე, 2 ოქტომბერს მაიორგას დიდი ბრძოლა აქვს დაგეგმილი ნიუ იორკში ფელიქს ტრინიდადის წინააღმდეგ.

REUTERS მანაგუადან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge